ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 20 ნოემბერი, 2017 №275 (7510) ფასი: 50 თეთრი




გვ.3

## თეა წულუკიანს ხსნიან?

ახალი მინისტრი, შესაძლოა, ეკა ბესელია გახდეს

16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



# სააკაშვილი: „მზად ვარ, უკრაინის მთავრობას სათავეში ჩავუდგე“



გვ.2



ტრისტან წითელაშვილი: „მიშას რაღაც დონემდე აარევინებენ სიტუაციას და მერე დააპატიმრებენ“

„ქართველი მებრძოლები უკრაინაში გავლენის სფეროებისთვის ერთმანეთს ებრძვიან“



## რატომ დაინტერესდა აშშ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით

ზაალ კასრელიშვილი: „გავარკვევთ, ვინ თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან“

გვ.4



## ნანა დევდარიანი: „სახალხო დამცველი ყოველთვის იწვევს ხელისუფლების უკმაყოფილებას“

გვ.3



გვ.6

## დემურ გიორხელიძე: „ლარის დღევანდელი კურსი მანიპულაციების შედეგია“

სამართალი



გვ.7

## „კანონიერი ქურდები“ თურქეთში სისხლისღვრისთვის ემზადებიან



## იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის უფროსად ბესიკ ამირანაშვილი დაინიშნა

## ავტოსაგზაო შემთხვევა ბათუმში — დაშავებულია მცირეწლოვანი



ეკონომიკა

გვ.6

## ივა ჭყონია: „ფასების ზრდა გამორიცხული არ არის“



## ქართული ვირის რძე ევროპაში გავა — 1 კგ ყველის ღირებულება 1.500 ლარია





## დავით მათიკაშვილი: „ლარი აუცილებლად დასტაბილურდება“

## „ნიკორა“: „პროდუქციის გაძვირების ტალღა მოდის“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

8 ახლო აღმოსავლეთში დიდი ცვლილებებია

ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთთან უკრაინაშიც ითანამშრომლებენ?

5 სოხუმსა და ცხინვალში დევნილების დაბრუნება შესაძლებელი გახდება?

7 „ჩვენ ვცხოვრობთ ევროპული ფასებითა და ქართული ხელფასით“

შემოსავლები და ხარჯები ევროპასა და საქართველოში

# სააკაშვილი: „მზად ვარ, უკრაინის მთავრობას სათავეში ჩავუდგე“



## „ქართველი მებრძოლები უკრაინაში გავლენის სფეროებისთვის ერთმანეთს ებრძვიან“

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინაში ქართველებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ. სანამ საქართველოს მესამე პრეზიდენტი პოროშენკოს სახალხო იმპიჩმენტისთვის ემზადება, ოფიციალური კიევი ქართველების დეპორტაციას განაგრძობს.

რამდენიმე დღის წინ უკრაინიდან 8 ქართველი გაიტაცეს. იქაური ხელისუფლების განცხადებით, დაკავებულებს უახლოეს დღეებში საქართველოში გამოადეპორტებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე სერიოზული ხმაური ატყდა, საქართველოს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების ბედით არ დაინტერესებულა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არანაირი განმარტებები არ მოუთხოვია, მხოლოდ ერთი განცხადებით შემოიფარგლა. დუმილის უფლებას იყენებს უკრაინაში საქართველოს საელჩოც. ჩვენი ხელისუფლების წევრები ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობენ.

ამ თემაზე საუბარი არც საქართველოს მთავრობის მეთაურმა ისურვა. გიორგი კვირიკაშვილი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს. სამინისტროს ნამუშევარს კი ვერავინ ამჩნევს.

ქართველების დეპორტაციაზე კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც უკრაინის რადას წინ აქციებს მართავს. მან პოროშენკო პუტინს შეადარა, რომელმაც 2006 წელს რუსეთიდან ქართველები გამოყარა.

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინელებს განუცხადა, რომ ისინი პოროშენკოს ღირსები არ არიან და მათ პრეზიდენტის სახალხო იმპიჩმენტისკენ მოუწოდა. ჩვენებურის განცხადებით, სახალხო იმპიჩმენტის პროცედურა 3 დეკემბერს დაიწყება.

ამის გარდა, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მზადაა, უკრაინის ხელისუფლებას ჩაუდგეს სათავეში.

– უკრაინას აუცილებლად სჭირდება ახალი ხელისუფლება, ახალი მთავრობა. ჩვენ ერთად უნდა ჩამოვაყალიბოთ იგი, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი ხალხი უკრაინის ახალი მთავრობისთვის, რომ მათ არ თქვან – ჩვენ თუ არა, მაშ ვინ. არის ბევრი ადამიანი, ნიჭიერი ადამიანი, მშრომელი, ნორმალური, პატრიოტი უკრაინელი.

მოდით, ვიმუშაოთ ამ მთავრობის შესაქმნელად. მე მზად ვარ, თქვენთან ერთად სათავეში ჩავუდგე ამ პროცესს. მე მზად ვარ, სათავეში ჩავუდგე ამ მთავრობას, თუ ეს საჭირო გახდება,

## ტრისტან წითელაშვილი: „მიშას რაღაც დონემდე აარევინებენ სიტუაციას და მერე დააპატიმრებენ“

– აღნიშნა ნაპრეზიდენტალმა.

სამხედრო ექსპერტი, ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილს უკრაინაში ჯერ არ შეზღუდავენ. მისი განმარტებით, ოდესის ყოფილ გუბერნატორს ჯერ გვარიანად აარევინებენ სიტუაციას და, როცა პროცესების მართვა გაჭირდება, მაშინ დააკავებენ.

ყოფილ პრეზიდენტზე სასაუბროდ ის ხვალ ან ზეგ უკრაინაში აპირებს გაფრენას. გარდა იმისა, რომ ერთ-ერთ გადაცემაშია მიწვეული, მას სამართალდამცავებიც ჩამოართმევენ ჩვენებას. ამბობს, რომ რადას დეპუტატები მისი განცხადებებით უკვე დაინტერესდნენ და სააკაშვილს პრეტენზიებიც წაუყენეს.

რა თემაზე სასაუბროდ მიდის კიევში, ვისი მითითებით ყრიან ქართველებს უკრაინიდან, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს უკრაინაში მყოფი ქართველი მებრძოლები, რას ელოდებიან მიხეილ სააკაშვილისგან? – ამის შესახებ ტრისტან წითელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ტრისტან წითელაშვილი:**

– რამდენიმე წლის წინ ლამის მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული იყო კიევის მაიდნის ამბებით. იქ მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. ალბათ გახსოვთ, მაშინ რა სკანდალური მასალები გამოვაქვეყნე ამ კრიმინალზე. მე დავასახელე ის 4 ქართველი სნაიპერი, რომლებიც ნაციონალების დავალებით ჩავიდნენ კიევში და მაიდანზე ხალხს ესროდნენ. ეს კეთდებოდა იმისთვის, რომ იანუკოვიჩის მისამართით უკმაყოფილება გაზრდილიყო.

უკრაინელებმა თავიდან არ ისურვეს ჩემი მოსმენა. ახლა ამ დოკუმენტებს უკვე რადას დეპუტატები აფრიალებენ. მათ სააკაშვილს ეს უკვე წამოაძახეს და მან ვერაფერი უპასუხა.

ამ დღეებში მე მივდივარ კიევში, სადაც რამდენიმე გადაცემაში მივიღებ მონაწილეობას, ამის გარდა, ოფიციალურ სტრუქტურებთანაც მომიწევს შეხვედრა. სავარაუდოდ, პროკურატურის კითხვებსაც ვუპასუხებ.

***– უკვე იცით, რა კითხვები ექნება თქვენთან უკრაინის პროკურატურას?***

– სააკაშვილის უკანონო ქმედებებზე მომიწევს პასუხების გაცემა. ამ თემაზე დიდი ხანია ვმუშაობ და ბევრ ინფორმაციას ვფლობ.

***– ჩვენება როდის უნდა მისცეთ?***

– კიევში 21 ან 22 ნოემბერს გავფრინდები და იქ გაირკვევა.

***– აუცილებლად უნდა გკითხოთ იმაზეც, რაც უკრაინაში ქართველებთან დაკავშირებით ხდება. თქვენ ერთ-ერთ წინა ინტერვიუში გვითხარით, რომ იქ ქართველ მებრძოლებს პრობლემები შეექმნებოდათ. მათ ეს პრობლემები უკვე შეექმნათ. რამდენად არის ეს სააკაშვილის აქციებთან კავშირში?***

– ქართველ მებრძოლებს იქ რომ პრობლემები შეექმნებოდათ, თავიდანვე ნათელი იყო. აქ სააკაშვილის გააქტიურება არაფერ შუაშია. უკრაინელები ქართველი მებრძოლების მიმართ ადრეც გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, მაგრამ ამას ღიად არ გამოხატავდნენ, მით უმეტეს, ერიდებოდნენ მათ დეპორტაციას. ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის.

ქართველმა მებრძოლებმა უკრაინაში გავლენების სფეროების გადანაწილება დაიწყეს, რაც ოფიციალური კიევისთვის უკვე მიუღებელი აღმოჩნდა და ისინი მოქმედებებზე გადავიდნენ.

***– რომელმა დაჯგუფებებმა დაიწყეს იქ სფეროების გადანაწილება?***

– ვინ დაიწყებდა? სააკაშვილის გარემოცვა. აქეთ მამუკა მამულაშვილის დაჯგუფებაა, იქით – გიგი კალანდაძის. კიდევ არის მაყიშვილის ხალხი.



***– დათო მაყიშვილი ხომ უკვე გამოადეპორტეს უკრაინიდან.***

– ეგ ერთ-ერთი პირველი გამოადეპორტეს და ამ პროცესს ჩამოშორდა, დანარჩენები კი სერიოზულ გარჩევებზე გადავიდნენ. მათი საქართველოში დეპორტირება სწორედ ამას უკავშირდება და არა იმას, რომ ქართველები არიან და სააკაშვილს უჭერენ მხარს.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახური კარგა ხანია უყურებს, თუ როგორი დაპირისპირება მიდის მათ შორის. ეს დაპირისპირება ერთგვარ რისკებს შეიცავს.

***– რა რისკებს?***

– მათ შორის შესაძლოა შეიარაღებული კონფლიქტიც კი მოხდეს, რაც უკრაინის უსაფრთხოებას პრობლემებს შეუქმნის.

***– რომელი დაჯგუფებაა უფრო ძლიერი, კალანდაძის თუ მამულაშვილის?***

– მამულაშვილის დაჯგუფებას უფრო მყარი პოზიცია უკავია. მათი დაპირისპირება ფინანსებს უკავშირდება.

***– ფულს ვერ იყოფენ?***

– არა მარტო ფულს. შემოტანილ იქნა დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც მეომრებს უნდა მოხმარებოდა. ამის ნაცვლად ტვირთი გაყიდეს.

დაკარგულია დიდძალი იარაღი. ეს იარაღი, სავარაუდოდ, გაყიდეს. მამულაშვილისა და კალანდაძის დაჯგუფებები იმას არკვევენ, ვინ მოტეხა ეს ფული.

უკრაინის ხელისუფლებას ქართველი მებრძოლებისთვის არაოფიციალურად გადაუცია გათეთრებული შავი ფული. ეს თანხებიც გამქრალია და ამაზეც მიდის გარჩევები.

სერიოზული დაპირისპირებაა და არ გამოვრიცხავ, რომ ეს სისხლისღვრით დასრულდეს.

***– სააკაშვილი რომელ დაჯგუფებას უჭერს მხარს?***

– ეს უცნობია. თავად ამ დაჯგუფებებს მიშასთვის აღარ სცალიათ. ის სულ სხვა სიტუაციაშია. ესენი სხვაგან არიან. ძალიან დიდი ქაოსია იქ.

ყველაზე დიდი უბედურება ამ ვითარებაში ჩვენი ხელისუფლების უმოქმედობაა. ისინი ამ პროცესებში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ. რაღაც ოპერატიულ ინფორმაციებს მაინც უნდა ამუშავებდნენ, რომ ჩვენს ქვეყანასაც არ შეექმნას საფრთხე.

***– ჩვენ რა საფრთხე უნდა შეგვექმნას?***

– ამ ადამიანებს საქართველოში გამოაძევებენ. არის ვინმე იმის გარანტი, რომ უკრაინაში დაწყებული დაპირისპირება აქ არ გაგრძელდება? აქაც დიდი არეულობაა მოსალოდნელი.

***– საქართველოს ხელისუფლებამ რა უნდა ქნას, გამოძევებული ქართველები დააპატიმროს?***

– დაპატიმრებას არ ვემხრობი. როგორ შეიძლება, უდანაშაულო ადამიანები დაიჭირონ. მამულაშვილი და კალანდაძე არ ვიცი, მაგრამ იქ ძალიან ბევრი ქართველი ოფიცერი წაიყვანეს მოტყუებით. ამ ადამიანებთან მუშაობაა საჭირო.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ მოტყუებით წაიყვანეს? მათ ხომ იცოდნენ, რომ იქ უნდა ეომათ?***

– საქმეც ეგ არის, რომ ეს ბიჭები იქ საომრად წავიდნენ. ბევრი მათგანი უკან დაბრუნდა. მათ შევხვდი და კარგად ვიცი ეს ამბავი. ისინი ამბობენ, გვეგონა, რომ მართლა საომრად მივდიოდით და იმიტომ წავედით, რომ საქართველო დაგვეცვაო. მათ ასე სწამთ, რომ თუ რუს ოკუპანტს უკრაინაში დაასუსტებდნენ, აქ მათთან ბრძოლა უფრო ადვილი იქნებოდა.

როცა დაინახეს, რომ იქ მთავარი მისია ოკუპანტებთან ბრძოლა არ იყო, ეს ბიჭები უკან წამოვიდნენ. მართლა გულანთებული ბიჭები არიან.

***– საკუთარი ნებით ბევრი წამოვიდა უკრაინიდან?***

– საკმაოდ ბევრი. მათ დეპორტაცია არ ემუქრებოდათ, მაგრამ იქ აღარ უნდოდათ დარჩენა. დეპორტაცია სააკაშვილის ზონდერებს ეხება, რომლებიც იქ გავლენების სფეროების გადანაწილებაზე გადავიდნენ.

ამ დაჯგუფებებმა ძალიან ღრმად შეტოპეს და ძალიან ცუდად დაამთავრებენ. მათი საქციელი კი საქართველოს მოსცხებს ჩირქს. მათი წყალობით ასე მოგვიხსენიებენ – ჩორნიე გრუზინი.

***– ამ ჩორნიეში ანუ შავში ქართველების შავტუხობას გულისხმობენ თუ შავ გაგებას?***

– შავ გაგებასა და შავ საქმეებს. არადა, აქამდე უკრაინაში ქართველებს დიდ პატივს სცემდნენ. ახლა ჩორნიე გრუზინიო, ასე გვიწოდებენ. ეს არის სააკაშვილისა და ამ ხელისუფლების დამსახურება.

ამ ხელისუფლებას მასობრივად არ უნდა გაეშვა ხალხი უკრაინაში. მათთვის აქ უნდა შეეთავაზებინათ სამსახურები. ახლა იმის ეშინიათ, რა მოხდება, ეს ხალხი რომ უკან დაბრუნდება. სააკაშვილის ექსტრადირებაზე ხომ საერთოდ გული უსკდებათ.

***– რამდენად მოსალოდნელია სააკაშვილის ექსტრადირება? ის 3 დეკემბერს პოროშენკოს სახალხო იმპიჩმენტს იწყებს.***

– რის იმპიჩმენტის მომწყობია. მაგას სერიოზულადაც აღარ აღიქვამენ. მას, ხელისუფლების გარდა, ოპოზიციის ნაწილიც დაუპირისპირდა. მარტო კი ვერაფერს იზამს.

***– ხალხის განწყობაზე რას იტყვით, უკრაინელები ხელისუფლებით უკმაყოფილო არიან.***

– ძალიან უკმაყოფილოა ხალხი, მაგრამ სააკაშვილს არავინ გაჰყვება. რაღაც აქციებს რომ აწყობს, ეს ხელისუფლების ინტერესებშია. ის მიშვებული ჰყავთ, რაღაც დონემდე აარევინებენ სიტუაციას და მერე დააპატიმრებენ. ასე დაამთავრებს ეგ თავის მოღვაწეობას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თეა წულუკიანს ხსნიან?



**რატომ დაიცვა თამარ ჩუგოშვილმა უჩა ნანუაშვილი**

„ნიუპოსტის“ კონფიდენციალური წყაროს ცნობით, „ქართული ოცნების“ 17 ნოემბრის შეკრებაზე, რომელიც ოფიციალურად ლარის დევალვაციას მიეძღვნა, გიორგი კვირიკაშვილმა მმართველ პარტიაში დიდი წმენდა დააანონსა.

ოფიციალური ვერსიით, ეკონომიკური გუნდი პარტიის ოფისში საბიუჯეტო ცვლილებების გამო იყო დაბარებული, თუმცა შეხვედრის მონაწილეების ნაწილი „ნიუპოსტთან“ პირად საუბარში ადასტურებს, რომ განხილვის ერთ-ერთ მთავარი თემა მმართველ პარტიაში არსებული დაპირისპირება იყო.

„ნიუპოსტის“ წყარო ამ ეტაპზე მხოლოდ ერთ გვარს ასახელებს და აცხადებს, რომ წულუკიანის თანამდებობიდან გაშვება თითქმის გადაწყვეტილია.

— იუსტიციის ჯერ კიდევ მოქმედ მინისტრს სტრასბურში საქართველოს ელჩობას სთავაზობენ, მაგრამ ამაზე წულუკიანი არ თანხმდება და ულტიმატუმს აყენებს, რომ თუ მინისტრობიდან გაათავისუფლებენ, პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს და სამთავრობო კანდიდატს დაუპირისპირდება, — ამბობს წყარო.

მისივე ინფორმაციით, წულუკიანმა მსგავსი ტაქტიკა, ანუ შანტაჟის ენა მაშინაც გამოიყენა, როცა სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე აღსრულება შეაჩერა.

— მაშინ წულუკიანი ხელისუფლებას დაემუქრა, რომ გარიყვის შემთხვევაში მერობის კანდიდატ კალაძეს ჩაძირავდა, — აცნობს „ნიუპოსტს“ სამთავრობო გუნდის კულუარებს წყარო.

ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო წარმომადგენლის შოთა შალელაშვილის ხმაურიანი განცხადება იმაზე მიანიშნებს, რომ წულუკიანის გადაყენება გადაწყვეტილია.

პარლამენტში პარტიული სიით შესულმა დეპუტატმა, რომლის არსებობის შესახებაც საზოგადოების ნაწილმა, პრაქტიკულად, აქამდე არაფერი იცოდა, მინისტრი ღიად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ თეა წულუკიანმა სახალხო დამცველთან მიმართებაში უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ ამ განცხადების შემდეგ შოთა შალელაშვილი მედიასთან აღარ გამოჩენილა, რაც ამყარებს „ნიუპოსტის“ კონფიდენციალური წყაროს ვერსიას, რომ დეპუტატმა იმ საპარლამენტო ჯგუფის მოსაზრება გაახმოვანა, რომელიც წულუკიანის წინააღმდეგ გაერთიანდა.

ისე, კულუარული ვერსიით, იმ შემთხვევაში, თუ წულუკიანი გადადგება, იუსტიციის მინისტრობის ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატი შესაძლოა, ეკა ბესელია იყოს. ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში ქალების დაპირისპირება არახალია, ახლა კი მთავარი ინტრიგა ის არის, ვის მხარეს დადგება „ჩრდილოვანი მმართველი“, რომელმაც თავის დროზე, ანუ „ოცნებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ განქორწინების შემდეგ, თეა წულუკიანს მწვანე აუნთო.

❖ ❖ ❖

დეპუტატ შალელაშვილის განცხადებას იუსტიციის მინისტრი მყისიერად და სარკასტულად გამოეხმაურა.

— დეპუტატ შალელაშვილის შესახებ ბევრი არაფერი მსმენია, მას არ ვიცნობ. მსმენია მხოლოდ ის, რასაც მედია ავრცელებდა, რომ რეალურად ეს არის პარლამენტში ერთადერთი დეპუტატი, რომელიც ხელფასს იღებს და სამსახურში არ დადის. კარგია, თუ ჩემმა განცხადებამ ის სამსახურში მიიყვანა და მუშაობა დააწყებინა, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მანვე კიდევ ერთხელ შეაფასა მოქმედი სახალხო დამცველი.

— რაც შეეხება ბატონი უჩას საქმიანობას, მე მისი შეფასება ჩემი 17-წლიანი პროფესიული დაკვირვების შედეგის საჯაროდ განცხადებით არ დამისრულებია. ამ საქმიანობას კიდევ შევაფასებ, მანამ ის არის ომბუდსმენი და მერეც, როცა აღარ იქნება ომბუდსმენი და თუ მისი სურვილი იქნება, როდესაც ის შეწყვეტს ომბუდსმენობას, მზად ვარ, მასთან გავმართო საჯარო პოლიტიკური დებატი, — განაცხადა თეა წულუკიანმა.





**ახალი მინისტრი, შესაძლოა, ეკა ბესელია გახდეს**

❖ ❖ ❖

მოგვიანებით დებატებში პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილიც ჩაერთო. მან ღიად დაიკავა უჩა ნანუაშვილის მხარე, რამაც უფრო გაამყარა „ოცნების“ შიგნით დაპირისპირების არსებობის ვარაუდი.

— სახალხო დამცველი არის ბოლო, რომელსაც მე გავაკრიტიკებ, რაც არ უნდა მოხდეს, რადგან გარკვეული პოზიცია მაქვს, თუ რას წარმოადგენს სახალხო დამცველის ინსტიტუტი ქვეყანაში, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ დისკუსია უჩა ნანუაშვილთან დაკავშირებით „სასიამოვნო სანახავი ნამდვილად არ არის“.

— ზოგადად, მგონია, რომ ამ საკითხზე იმაზე მეტი კომენტარი გაკეთდა, ვიდრე უნდა გაკეთებულიყო. ეს ყველაფერი სასიამოვნო სანახავი ნამდვილად არ არის. მე თავს შევიკავებდი დამატებითი კომენტარისგან და მით უმეტეს სახალხო დამცველის კრიტიკისგან. სახალხო დამცველი არის ბოლო, რომელსაც მე გავაკრიტიკებ, რაც არ უნდა მოხდეს, რადგან გარკვეული წარმოდგენა და პოზიცია მაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენს სახალხო დამცველის ინსტიტუტი ქვეყანაში, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

რაც შეეხება უჩა ნანუაშვილის შემცვლელს, თამარ ჩუგოშვილის თქმით, მსჯელობა გრძელდება და იმედი გამოთქვა, რომ მმართველი გუნდი ერთიან კანდიდატურაზე მომავალ კვირაში ჩამოყალიბდება.

# ნანა დევდარიანი: „სახალხო დამცველი ყოველთვის იწვევს ხელისუფლების უკმაყოფილებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი პასუხობს.

***— სახალხო დამცველის თემამ „ქართული ოცნების“ შიგნით სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია. წულუკიანმა უჩა ნანუაშვილს ყველაზე უსამართლო სახალხო დამცველი უწოდა, სახელისუფლებო დეპუტატთა ნაწილმა კი დაიცვა ნანუაშვილი. რას იტყვით თქვენ?***

— სახალხო დამცველის საქმიანობა ყოველთვის იწვევს უკმაყოფილებას ხელისუფლებაში. სახალხო დამცველმა უნდა დაიცვას ყველაზე სუსტი და დაუცველი და ამ დროს ის უპირისპირდება უფლებამოსილებით, ხელისუფლებით აღჭურვილ პირებს. ადამიანის უფლებებს მე და თქვენ ვერ დავარღვევთ, ჩვენ შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაული ჩავიდინოთ. ადამიანის უფლებებს არღვევს ყოველთვის ძალაუფლებით შემოსილი სუბიექტი. ამიტომ ეს სახალხო დამცველის თანმხლები პროცესია, რომ ის უპირისპირდება ძალაუფლებით აღჭურვილ პირებს.

***— მის უსამართლობასა და სამართლიანობაზე რას იტყვით?***

— სახალხო დამცველის საქმიანობა სრულიად არ უკავშირდება სამართლიანობის აღდგენას. ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს პროკურატურას. სახალხო დამცველი ვერ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ დარღვევებზე. როცა სახალხო დამცველი იცავს პატიმრის უფლებებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის პატიმარი უდანაშაულოა. დამნაშავესაც გააჩნია თავისი უფლებები. დამნაშავეც არ უნდა აწამო, არაადამიანურად არ უნდა მოეპყრა და უსამართლო გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს სასამართლომ. აი, ეს არის მთავარი განმასხვავებელი. რაც შეეხება წულუკიანის განცხადებას, მან უჩა ნანუაშვილზე უსამართლო თქვა მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით.

***— დიახ, მოწმედ დაუდგა სტრასბურშიო.***

— ჯერ ერთი, მოწმედ არ დასდგომია, იმიტომ, რომ სახალხო დამცველის გამოძახების უფლებაც კი არა აქვს სასამართლოს, როგორც მოწმის. ამ იმუნიტეტს ის ინარჩუნებს სახალხო დამცველის პოსტიდან წასვლის შემდეგაც. არავის შეუძლია, ის დაიბაროს დაკითხვაზე და, როგორც მოწმე, დაკითხოს ამა თუ იმ პირის უფლებებთან დაკავშირებით, რომელზეც მას რეაგირება ჰქონდა, როგორც სახალხო დამცველს. არ შეიძლება, თეა წულუკიანმა ეს არ იცოდეს, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ თავად მსახურობდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

***— მაშინ რასთან გვაქვს საქმე?***

— საქმე გვაქვს იმასთან, რომ თეა წულუკიანი მტკივნეულად რეაგირებს სტრასბურის სასამართლოს მიერ გაზიარებულ დარღვევების ფაქტზე. ეს ნორმალურია, რადგან იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს მოპასუხე მხარეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. მან ამ შემთხვევაში გამოხატა თავისი სუბიექტური დამოკიდებულება, მაგრამ შეგახსენებთ, რომ იუსტიციის მინისტრი ხმას არ აძლევს სახალხო დამცველის კანდიდატურას. მას ამტკიცებს პარლამენტი. აქ უფრო მნიშვნელოვანია საპარლამენტო უმრავლესობის და არა მარტო უმრავლესობის პოზიცია.

***— რა მოხდა, „ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ აიტანა კრიტიკულად განწყობილი სახალხო დამცველი?***

— ყველა ხელისუფლება ასეა. ყველა ხელისუფლებას უნდა, რომ უძახონ, რა კარგი ხარ, რა გადასარევი ხარ, წინას სჯობიხარ, იმის წინას სჯობიხარ, ქვეყანა წინ მიდის და ყველაფერი კარგად არისო. ასე ხომ არ არის სინამდვილეში?! თუმცა ნებისმიერ ხელისუფლებაში არიან უფრო რაციონალურად მოაზროვნე ადამიანები და უფრო ემოციურად მოაზროვნეები.

***— უჩა ნანუაშვილს დამცველებიც გამოუჩნდა „ოცნებაში“. სწორედ ამიტომ ითქვა, რომ შიგნით არის დაპირისპირება.***

— ვნახოთ, დაპირისპირება თუ არის, ამას გვაჩვენებს სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენა და ამის პროცედურა და შემდეგ მისი დამტკიცების პროცედურა.

***— დასახელდა რამდენიმე კანდიდატურა, უმრავლესობაში ამბობენ, რომ ისინი საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულან კანდიდატზე.***

— უნდა შეთანხმდნენ, სხვანაირად ეს არ მოხდება. რაღაც შეთანხმება უნდა მოხდეს კანდიდატურაზე.

ჩემს ამბავს შეგახსენებთ. მე ვიყავი ოპოზიციის წამოყენებული კანდიდატურა, მაგრამ შევარდნაძეს არასოდეს ეშინოდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების. მე უმცირესობის ხმებით ხომ ვერ დავმტკიცდებოდი?! თან კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდება სახალხო დამცველს. მე უმრავლესობამაც და ოპოზიციამაც დამიჭირეს მხარი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მერე რევერანსები მეკეთებინა ან უმრავლესობისთვის, ან უმცირესობისთვის. ორივე მხარესთან ხშირად დაპირისპირებული ვყოფილვარ.

***— ამერიკის ელჩმაც გააკეთა მინიშნებები სახალხო დამცველთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ახალი სახალხო დამცველი.***

— კარგი იქნებოდა, უცხო ქვეყნის ელჩი კომენტარებს არ აკეთებდეს ასეთ საკითხებზე, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი ვითარებაა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ ჩემი სახალხო დამცველობის პერიოდიდან. ძალიან საინტერესო ეპიზოდია და ასევე ამერიკის ელჩს ეხება, ოღონდ მაშინ ჯერ კიდევ კენეტ იალოვიცი იყო ელჩი.



**„ყველა ხელისუფლებას უნდა, რომ უძახონ, რა კარგი ხარო, მაგრამ ასე ხომ არ არის სინამდვილეში?!“**

***— უხეშად ჩაერია თქვენს საქმიანობაში?***

— რაღაც ანგარიშზე ვმუშაობდით, საკმაოდ დაძაბული დღე გვქონდა და თანაშემწე მეუბნება, საგუშაგო კოშკიდან რეკავენ (იელოველებს ასე ეძახდნენ), დღესვე მიგვიღოს სასწრაფოდ, თორემ ხვალ ქალაქგარეთ გავდივართო. უარი ვუთხარი, დღეს ვერაფრით მივიღებ, 7 საათზე რომ სამსახურში ვარ, ე.ი. სასწრაფო საქმე მაქვს, აბა მოხალისე ხომ არ ვარ, წავიდნენ ქალაქგარეთ და რომ ჩამოვლენ, აუცილებლად მივიღებ-მეთქი. მეორე დღეს თანაშემწე მეუბნება, ამერიკის საელჩოდან რეკავენ, ელჩს უნდა შეხვედრაო. შევთანხმდით შეხვედრაზე და მოვიდა კენეტ იალოვიცი და რაზე მოვიდა, გაოცდებით.

***— რაზე?***

— საგუშაგო კოშკიდან ჩივიან, სახალხო დამცველი არ გვიღებსო. მე ვუთხარი, თქვენ სანამ შემოხვიდოდით, ნახეთ, მისაღებში რამდენი ადამიანი იყო-მეთქი? კიო, მითხრა, შემოსასვლელში რომ ადამიანების რიგია, ის თუ ნახეთ-მეთქი? ვნახეო. მერე, რა გამოდის, მე ეს ყველა ადამიანი უნდა დავითხოვო, ვუთხრა, თქვენ მოიცადეთ, უფრო კარგი ადამიანების ჯგუფი უნდა მივიღოო?! თანაც 6-ის მერე არასამუშაო საათებში თქვენ რომ დაგირეკონ, ვინც უნდა იყოს, ახლავე მიგვიღეო, თქვენ შეთანხმების გარეშე მიიღებდით-მეთქი? მართლა ასე იყოო? ზუსტად ასე იყო-მეთქი. მაშინ ბოდიშიო და წავიდა.

ასეთ ვითარებებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შენ თვითონ როგორ აფასებ შენს მოვალეობებსა და თანამდებობას. მე ელჩს ვუთხარი, ძალიან დიდ პატივს გცემთ თქვენც და თქვენს ქვეყანასაც, მაგრამ მე ყველა ადამიანის უფლებები თანაბრად უნდა დავიცვა და პრივილეგირებული ჯგუფები ვერ მეყოლება-მეთქი! შეიძლება, ის არის ძალიან დიდი სახელმწიფო, არის შენი სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ადამიანია და არც სუბიექტურობას არის მოკლებული და არც შეცდომებისგან არის დაზღვეული. ამიტომ შენ უნდა იდგე შენს სიმაღლეზე.

***— რამდენად კარგი სახალხო დამცველი იყო უჩა ნანუაშვილი?***

— უჩა არ მოსულა სახალხო დამცველის თანამდებობაზე რაღაც სხვა საქმიანობიდან. არადა, ზოგიერთი კანდიდატურა არის ასეთი, რომ არ ჰქონიათ პირდაპირი შეხება ადამიანის უფლებებთან. უჩა წლების განმავლობაში ჩემ თვალწინ გაიზარდა, იყო არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში თანმიმდევრულად უფლებადაცვით საქმიანობას ეწეოდა. რაღაც შეიძლება მეც არ მომწონდა, მაგრამ ადამიანები ვართ სუბიექტურები, კონკრეტულ საკითხებზე ყველას თავისი შეხედულება აქვს.

***— ხელისუფლებაში ასე აფასებენ, რომ ის ყოველთვის ოპოზიციის მხარეს იყო. ასეა?***

— მე არ ვიცი, ისინი რას გულისხმობენ, მაგრამ ნებისმიერ სიტუაციაში სახალხო დამცველი ერთნაირად არის დაპირისპირებაში როგორც უმრავლესობასთან, ისე ოპოზიციასთან, იმიტომ, რომ ყველა ოპოზიციური ძალა ცდილობს, ადამიანის უფლებები გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი საკუთარ პოლიტიკურ ბრძოლაში და ეს არის დაუშვებელი! პოლიტიკური ნიშნით ადამიანის დაცვა არ შეიძლება. თუ მისი უფლებები დაირღვა, უნდა დაიცვა, მიუხედავად იმისა, ვინ არის ის.

***— რას ელოდებით, როგორი იქნება ახალი სახალხო დამცველი?***

— საბოლოოდ შეთანხმდებიან ისეთ კანდიდატურაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება როგორც უმრავლესობისთვის, ისე ოპოზიციისთვის და ისე, რომ შეერთებული შტატების ელჩის გამონათქვამებთანაც არ მოვიდეს წინააღმდეგობაში.

2017, 20 ნოემბერი, №275

# რატომ დაინტერესდა აშშ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით

## ზაალ კასრელიშვილი: „გავარკვევთ, ვინ თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან. ეს საქმე ძალიან ბევრ აგენტს გამოავლენს“

შორენა მარსაგიშვილი

უნდოდა თუ არა სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება, ვინ და რატომ ბლოკავდა პირველი პრეზიდენტის საქმეს, რა კავშირშია ამ საიდუმლოს გახსნასთან სამთავრობო ცვლილებები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.



**ზაალ კასრელიშვილი:**

– ზვიად გამსახურდიას მკვლელობიდან 24 წელი გავიდა. ამ წლების განმავლობაში არაფრით არ მოხდა საქმის გამოძიება. ახლა ოჯახმა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და სტრასბურს მიმართა. ეს ძალიან ბევრ რამეს შეცვლის.

ამ საქმეში სერიოზულ გარდატეხას შეიტანს წინა კვირას განხორციელებული საკადრო ცვლილებები. ის ხალხი, რომლებიც პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებას ბლოკავდნენ, ძალას კარგავს.

ჩემი აზრით, ეს საქმე სტრასბურის სასამართლოში აქამდეც უნდა წასულიყო. ეს ჯერ კიდევ მაშინ უნდა გაეკეთებინათ, როცა სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში.

***– როგორც ამბობენ, თავიდან მიხეილ სააკაშვილს მართლაც უნდოდა პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება. მერე ვიღაცებმა გააჩერესო. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– მე არ მჯერა, რომ სააკაშვილს ზვიადის მკვლელობის გამოძიება უნდოდა. თუმცა, ამის მცდელობა რომც ჰქონოდა, მას გარემოცვა აუცილებლად გააჩერებდა. მის გარშემო მრავლად იყო ისეთი ხალხი, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ სამხედრო გადატრიალებაში.

***– იმის რატომ არ გჯერათ, რომ სააკაშვილს გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება სურდა? როგორც კი პრეზიდენტის ფიცი დადო, პირველი, რაც გააკეთა, პატიმრობაში მყოფი ზვიადისტები შეიწყალა.***

– ეს ყველაფერი ხალხის გულის მოსაგებად გააკეთა. ოპოზიციაში ყოფნის დროს ის ზვიად გამსახურდიას ყველანაირად ბაძავდა – მისი მანერები გადაიღო. ეს მიშას, როგორც კარგი პოლიტიკური მსახიობის მხრიდან, იყო მცდელობა, ეროვნული ცნობიერების მქონე ქართველების მხარდაჭერა მიეღო.

მას საკმაოდ კარგი პიარმენეჯერები ჰყავდა. იმ პერიოდში მას 2 ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი – უნდოდა, ეროვნულ ლიდერად დაფიქსირებულიყო და შიდა კონკურენციაში ჟვანიასთვის მოეგო.

ეს უკანასკნელი ვერასდროს გახდებოდა ეროვნული ცნობიერების მქონე ლიდერი. ის და მისი გუნდის წევრები კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდნენ.

***– ასეთი ხალხი სააკაშვილის გუნდშიც მრავლად იყო და ის სასწავლებლად ჯაბა იოსელიანმა გაუშვა ამერიკაში.***

– ეს გასაგებია, მაგრამ მას უშუალოდ არ სჭერია ხელში იარაღი. ამ დეტალების შესახებ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცოდა. სააკაშვილი იმ კატეგორიის ადამიანია, რომლებიც შუბლის ძარღვის გარეშე იბადებიან. ასეთები ყველაფერს კადრულობენ. მანაც ყველაფერი იკადრა და ხალხს დააჯერა, რომ ეროვნული ლიდერი იყო.

მისი „ეროვნულობა“ ბევრ რამეში გამოჩნდა. ის მართლაც ეროვნული ლიდერი რომ ყოფილიყო, პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმეს გამოიძიებდა.

მიხარია, რომ ეს საქმე ბოლოს მაინც წავიდა სტრასბურში. ამის შემდეგ მართლაც გაირკვევა სიმართლე. დღეს დასავლეთი მზადაა სიმართლის დასადგენად და ამ სიმართლის მისაღებად.

***– აქამდე არ უნდოდა დასავლეთს ამ მკვლელობაზე სიმართლის გაგება?***

– აქამდე დასავლეთი მზად არ იყო. ახლა ისინი უკვე მზად არიან და მეც მჯერა, რომ ყველაფერს გავიგებთ.

***– დასავლეთს რატომ არ სურდა სიმართლის გაგება, რადგან პირველი პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა? 1991 წელს ასე ამბობდნენ გამსახურდიაზე დასავლეთში.***

– მაშინ ასე ფიქრობდნენ. სიმართლისთვის გვერდის ავლა სხვა მიზეზებით მოხდა. ჩვენ გვყავდა შევარდნაძის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში გამსახურდიას დამხობის შემდეგ მოვიდა. შევარდნაძეს დასავლეთში სერიოზული კავშირები ჰქონდა. მან ყველაფერი გააკეთა, რომ გამსახურდიას მკვლელობის თემა საერთოდ მიჩქმალულიყო. აბა გაიხსენეთ, მისი მმართველობის ხანაში ამ თემაზე არავინ საუბრობდა.

რატომ არ უნდოდა შევარდნაძის ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება, ეს, მგონი, იოლი მისახვედრია. ეს საქმე რომ გამოეძიებინათ, ისინი ციხეში უნდა წასულიყვნენ. ამიტომაც მიჩქმალეს ეს საქმე.

***– ამ საქმის გამოძიების დიდი სურვილი არც „ქართულ ოცნებას“ აღმოაჩნდა. გამსახურდიას ოჯახმა მხოლოდ ერთი თვის წინ მიაღწია იმას, რომ საქმეში დაზარალებულად ეცნოთ.***

– „ოცნებაშიც“ ბევრია წარსულის გადმონაშთი და რატომ გიკვირთ, რომ ისინიც ხელს უშლიდნენ გამოძიებას. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამერიკის ელჩის განცხადება. იან კელიმ რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ ისინი ელოდებიან გამოძიების შედეგებს და გამოძიების მიმდინარეობით კმაყოფილი არ არიან.

გამსახურდიას მკვლელობა და კანონიერი ხელისუფლების დამხობა ვინმეს კორპორატიული ინტერესი არ იყო. ეს გადატრიალება არც წითელი ბურჟუაზიის რევოლუციის შედეგი იყო მარტო.

ამ ორი დანაშაულის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან. მათ თავიანთი აგენტურისა და წითელი დირექტორების მეშვეობით საკმაოდ ოსტატურად მოახერხეს საქართველოში საზოგადოების ერთმანეთთან დაპირისპირება. საუბედუროდ, ბევრ ქართველს კანონიერი ხელისუფლების დამხობა უბნებს შორის დაპირისპირება ეგონა.

ზვიად გამსახურდიას საქმის მკვლელობის გახსნა რუსეთის სპეცსამსახურების გაშიფვრას ნიშნავს.

***– ეგ ხომ ისედაც ვიცით, რომ ამ მკვლელობის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან.***

– ვიცით, მაგრამ ეს გამოძიებით არ არის დადასტურებული. საქმის გახსნას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება და გავარკვევთ, ვინ თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან და ვინ რა დავალებებს ასრულებდა. ეს ყველაფერი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში იგეგმებოდა.

***– რომელსაც ჩვენი საზოგადოება ზაკვოს სახელით იცნობდა.***

– ყველა სიბინძურე ზაკვოს შენობაში იგეგმებოდა. მასზე კონტროლს გრუ ახორციელებდა. სადაც სამხედრო გადატრიალებაა და სისხლი იღვრება, ყველგან გრუა. ასე იყო საქართველოში, ასე იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ასეთი ტერმინი – რევოლუციის ექსპორტი. საბჭოთა კავშირი, თავისი სპეცსამსახურებით, ცდილობდა, მთელ მსოფლიოში დახმარებოდა მშრომელებს, მუშებსა და გლეხებს. ამ დროს თავის მუშებსა და გლეხებს შიმშილით სული ამოართვა.

ვიდრე საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები რევოლუციის ექსპორტით იყვნენ დაკავებული, მისმა ჩინოსნებმა მოპარული ფულების საზღვარგარეთ კონვერტაცია და ბანკებში შეტანა დაიწყეს. ისინი იქ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა გადაიბირეს და დაშალეს საბჭოთა კავშირი.

***– საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი ამბავია, მაგრამ, მოდით, ისევ გამსახურდიას საქმეს დავუბრუნდეთ. საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ ბოლოდროინდელი საკადრო ცვლილებების შემდეგ ის ხალხი დასუსტდა, რომლებიც გამსახურდიას საქმის გამოძიებას ხელს უშლიდნენ. იქნებ უფრო დააკონკრეტოთ, ვინ უშლიდა ხელს, ისინი, ვინც თანამდებობებს ჩამოაშორეს?***

– არა, ეგ ეგრე არ არის. თუმცა „ოცნებაშიც“ მრავლად იყო ისეთი ხალხი, რომლებსაც ამ საქმის გამოძიება არ აწყობდათ.

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შევარდნაძისა და სააკაშვილის დროინდელ ჩინოსნებს მიეცათ შანსი, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ მოენანიებინათ წარსული. საქართველოში ეროვნული ცნობიერების მქონე ადამიანების გარდა, ფაქტობრივად, ყველას მიეცა შანსი.

ჩვენ ისევ მოჯადოებულ წრეზე ვმოძრაობთ – თუ გინდა, რომ რამეს მიაღწიო, ან შევარდნაძისტი უნდა იყო, ან სააკაშვილისტი. გამსახურდიას საქმის გამოძიების მთავარი არსიც ისაა, რომ ქვეყანას ეს ბალღამი მოაცილოს.

პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მე მიხარია, რომ ამით აშშ-ც დაინტერესდა.

***– ამ საქმის გამოძიება ბევრს არ სურდა. თქვენი აზრით, სიმართლის დადგენა ბევრს გადაიყოლებს?***

– ვიღაცებს გადაიყოლებს, მაგრამ აქ მთავარი ადამიანების ვინაობის დადგენა არ არის. სიმართლის დადგენის შემდეგ მოხდება იმ მეთოდების ლუსტრაცია, რომლებითაც რუსეთის სპეცსამსახურები მოქმედებდნენ და ახლაც მოქმედებენ. დღეს თუ ვინმეს არ უნდა პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გახსნა, ეს რუსეთის სპეცსამსახურები არიან. მათ სერიოზული როლი შეასრულეს იმაში, რომ ეს საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

***– რადგან გამოძიება არ ხდება, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენები აქვთ?***

– გავლენები როგორ არა აქვთ, მაგრამ ამ საკადრო ცვლილებების შემდეგ, ვფიქრობ, ეს გავლენები შემცირდა. იმ ხალხმა, რომლებიც რუსული გავლენის ქვეშ არიან, ყვითელი ბარათი მიიღო. არ გამოვრიცხავ, რომ წითელი ბარათიც აჩვენონ.

***– აშკარაა, რომ თქვენ ეს საკადრო ცვლილებები მოგწონთ.***

– მომწონს რა, ეს ქვეყნისთვის არის კარგი. ჩვენ ვამბობდით და ახლაც გავიმეორებთ, რომ საქართველოს მომავალი მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ინტეგრაციაშია. თუ გვინდა, რომ დასავლური ცივილიზაციის ნაწილი გავხდეთ, არ შეიძლება, გქონდეს ამდენი სამინისტრო და გყავდეს ამდენი დეპუტატი.

***– დეპუტატების რაოდენობა ხომ შემცირდა.***

– 150 კაცამდე შემცირდა, მაგრამ საქართველოსთვის ესეც ბევრია. რაც შეეხება სამინისტროებს, კარგია, რომ მათი შემცირება დაიწყეს. იმედს ვიტოვებთ, ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება.

***– გამოდის, საკადრო ცვლილებებზე მეტად სტრუქტურული ცვლილებები მოგწონთ.***

– ასეა. სტრუქტურულ ცვლილებებს ავტომატურად მოსდევს საკადრო ცვლილებები. თქვენ გგონიათ, რომ ამით ცვლილებები დამთავრდა? ძალიან ცდებით. სტრუქტურული ცვლილებები გაგრძელდება.

როდესაც ქვეყანაში ცუდი მდგომარეობაა, წესრიგის დასამყარებლად და ეკონომიკის გასაძლიერებლად უფრო მეტი ხალხი სჭირდება. საქართველო ახლა დასავლურ სტანდარტებზე გადადის და ამდენი ხალხი საჭირო აღარ არის.

დრო თავად აჩვენებს, ვინ არის ზედმეტი და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტებიც გაიშიფრებიან. ამას ხელს გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებაც შეუწყობს. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ამ საქმის გახსნით ამერიკაც დაინტერესდა.

***– თქვენ საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებთ ამ საქმეს. მართლა გჯერათ, რომ 24 წლის შემდეგ გაირკვევა, რა ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი?***

– რუსეთის სპეცსამსახურები და მათი აგენტურული ქსელი ახლაც შეეცდება ხელის შეშლას, მაგრამ, რადგან საქმე სტრასბურში მიდის, ბევრი რამე შეიცვლება. მთავარი აქ ისაა, რომ ამ საიდუმლოს ამოხსნა დასავლეთსაც უნდა.

---

## ირაკლი კობახიძე ოფიციალური ვიზიტით ბელარუსის რესპუბლიკას ეწვევა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, დელეგაციასთან ერთად, 20-22 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით ბელარუსის რესპუბლიკას ეწვევა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში პირველ შეხვედრას ირაკლი კობახიძე ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსთან გამართავს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დელეგაციასთან ერთად, ეროვნული კრების საბჭოს თავმჯდომარე მიხაილ მიასნიკოვიჩს შეხვდება, რის შემდეგაც პრესისთვის ერთობლივი განცხადება გაკეთდება. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ბელორუსის რესპუბლიკის ეროვნული კრების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ განცხადებას მოაწერენ ხელს.

დაგეგმილია ირაკლი კობახიძის შეხვედრა ბელარუსის რესპუბლიკის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ვლადიმირ ანდრეიჩენკოსთან, პრემიერ-მინისტრ ანდრეი კობიაკოვთან, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ვლადიმირ მაკეისთან, ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე პაველ კალაურთან.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი კობახიძე შეხვდება ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფიო ქაცარავა, ირაკლი კოვზანაძე, გიორგი ბეგაძე, კობა კობალაძე, ლაშა დამენია, ალექსანდრე ქანთარია და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე შედიან.

**ინტერპრესნიუსი**

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

**მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგები საარჩევნო უბნების მიხედვით იხილეთ ვებგვერდზე www.results.cec.gov.ge.**

## კახა კალაძე: „შეუძლებელია ვისაუბროთ წარმატებებზე, თუ ბიუჯეტი არ მოვაწესრიგეთ“



– შეუძლებელია ვისაუბროთ წარმატებებზე, თუ ბიუჯეტი არ მოვიყვანეთ ერთიანობაში იმ ხედვებთან, რომლებიც დაანონსებული გვქონდა. მიუხედავად დიდი ხარჯებისა, თუ დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით ქალაქში პროექტების განხორციელება არ დაიწყო, სამომავლოდ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული მიმართულებით დედაქალაქის ადაპტირება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

– ქალაქის ადაპტირება ერთ-ერთი პრიორიტეტია ჩვენთვის. გვესმის, რომ ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა უნდა დავიწყოთ პროექტების განხორციელება. თუ ჩვენ დღეს არ გადავდგით ამ მიმართულებით ნაბიჯები, კიდევ უფრო დამძიმდება სიტუაცია, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მომავალი წლის ბიუჯეტზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მორგება იმ პროექტებზე, რომელიც მის გუნდს წინასაარჩევნოდ ჰქონდა გაცხადებული. კალაძის თქმით, თბილისის მერია პირველ რიგში მუშაობას სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით დაიწყებს.

– მთავარია ბიუჯეტის მორგება მომავალ წელსა და იმ პროექტებზე, რომლებიც ჩვენ გვქონდა გათვალისწინებული წინასაარჩევნოდ. შესაბამისად, პირველი, რაზეც დავიწყებთ მუშაობას, არის ეს, რადგან შეუძლებელია ვისაუბროთ წარმატებებსა და პროექტების განხორციელებაზე, თუ ბიუჯეტი არ მოვიყვანეთ ერთიანობაში იმ ხედვებთან, რომლებიც დაანონსებული გვქონდა, – განაცხადა კახა კალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სოხუმსა და ცხინვალში დევნილების დაბრუნება შესაძლებელი გახდება?

## ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზებს ფაროსანასთან ბრძოლაში ვეხმარებით“

ჟენევის მოლაპარაკების ქართველი მონაწილეები მომავალი რაუნდისთვის ემზადებიან. რა საკითხებს განიხილავენ ისინი ჟენევაში? რა შედეგები მოაქვს სხვადასხვა დონეზე მოლაპარაკებებსა და გაეროს რეზოლუციებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გამოდევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების თვალსაზრისით?

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ამ დღეებში თბილისში ჟენევის ფორმატის თანათავმჯდომარეები ჩამოვლენ. ისინი შეხვედრებს გამართავენ როგორც სოხუმში, ისე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ვახტანგ, როგორც ვიცი, ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდისთვის ემზადებით. რა კუთხით მუშაობთ?***

– ამ დღეებში ჟენევის ფორმატის თანათავმჯდომარეები ჩამოდიან. ისინი შეხვედრებს გამართავენ როგორც სოხუმში, ისე თბილისში. პოზიციებს ვაჯერებთ, თუ რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. განვიხილავთ სოციალურ საკითხებს, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებშია. მინდა, გარკვეულ საკითხებში წინ წავიწიოთ. მინდა, დევნილთა დაბრუნების თვალსაზრისით შედეგი გვქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დევნილთა დაბრუნების კუთხით წინსვლა არ გვაქვს.

***– კულტურის ძეგლების დაზიანებაზე თუ გექნებათ საუბარი?***

– კულტურული მემკვიდრეობის თემა ძალიან მტკივნეულია. ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებათა პროცესში გარკვეული წინსვლა გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო რაუნდზე ამ საკითხზე მოლაპარაკება შეჩერდა. იმედი გვაქვს, მოლაპარაკებათა მომავალ რაუნდზე პროცესი დაიძვრება.

***– ბატონო ვახტანგ, დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე გაერომ არაერთი რეზოლუცია მიიღო. ბოლო რეზოლუციით, დევნილების დაბრუნების მომხრე ქვეყნების რიცხვი გაიზარდა. თუმცა, არამომხრე ქვეყანა ჯერ კიდევ ბევრია. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც არ მისცეს ხმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველი დევნილების დაბრუნებას, ბელორუსიც აღმოვაჩინე. მით უფრო, რომ ცოტა ხნის წინ ბელორუსის პრეზიდენტი საქართველოში იმყოფებოდა და კარგი ურთიერთობაც ჩამოყალიბდა. ამ დღეებში ერთ-ერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირიც იყო ჩამოსული. მათთან ხელშეკრულებებიც გაფორმდა და საერთო პროექტების განხორციელება იგეგმება. რატომ ვერ მოხერხდა ბელორუსის მომხრობა?***

– უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბელორუსი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელმაც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა არ ცნო. ის ინარჩუნებს ჯანსაღ და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას საქართველოსადმი. როცა ბელორუსის პრეზიდენტი ჩამოვიდა, მას შევხვდი და ამისთვის მადლობა გადავუხადე. ამასთან ერთად, არის გარკვეული მომენტები, როცა მხარს ვერ გვიჭერენ, რადგან მათ არ უნდათ, რუსეთთან სიტუაცია დაძაბონ. ამიტომ ამ სიტუაციაში ჩვენ ბელორუსთან მეტი მუშაობა გვმართებს. საჭიროა მათი დარწმუნება იმაში, თუ რამდენად გვილირს მათი მხრიდან აფხაზეთის არაღიარება. შეიძლება, ასეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე მეტი მხარდაჭერა იყოს.

***– საერთოდ, ამ კუთხით წინამოსამზადებელი პროცესი როგორია?***

– პროცესი საკმაოდ დინამიკური და პოზიტიურია საქართველოსათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი დიპლომატიური სამსახურების დამსახურებაა. ისინი მუშაობენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან, საელჩოებში, გაეროს ქვეყნებში და იმ საერთაშორისო ინსტიტუტებში, რომლებსაც შეუძლიათ, იქონიონ გავლენა თავიანთ ქვეყნებში. თანდათან იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენი პრობლემის მოგვარებას – დევნილთა თავიანთ სახლ-კარში დაბრუნებას. ასევე თანდათან მცირდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მხარდაჭერისაგან თავს იკავებდნენ ან წინააღმდეგი იყვნენ.

არის ქვეყნები, რომლებისაგანაც ჩვენ უფრო მოველით მხარდაჭერას, ვიდრე თავშეკავებასა და უარყოფას, მაგრამ, საერთოდ, ბოლო 3-4 წელია, ამ მხრივ დადებითი დინამიკაა. ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება, რადგან ქვეყნების ინტერესები ერთმანეთშია გადახლართული. ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი აქვს და თავისი ინტერესიდან გამომდინარე ცდილობს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მას ზიანს არ მიაყენებს არც საერთაშორისო დონეზე და არც ორმხრივ ურთიერთობებში. ვიღაც ანგარიში უწევს რუსეთს და აფხაზეთში დევნილების წინააღმდეგ აძლევს ხმას, ვიღაც ანგარიშს უწევს იმას, რომ მას შიგნით აქვს პრობლემა და შეიძლება ჩვენმა მხარდაჭერამ მას შიდა პროცესების დარეგულირებაში ხელი შეუშალოს. პროცესები, რომლებიც განვითარდა ესპანეთში, სამომავლოდაც გაკვეთილად გამოადგებათ.

***– ესპანეთში განვითარებული პროცესები დანარჩენ მსოფლიოზე გავლენას ახდენს?***

– ვინაიდან, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ევროპულმა ქვეყანამ დაგმო და უარყოფითად მიიღო ესპანეთში კატალონიის ავტონომიის გადაწყვეტილება, ეს დადებითად იმოქმედებს და ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს, სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების საქმიანობის უარყოფითად შეფასების თვალსაზრისით.

***– ალბათ იცით, რომ ესპანეთის კატალონიის ავტონომიაში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის საცეცები აღმოაჩინეს, ანუ რუსეთი ცდილობს, ყველა ქვეყნის შიდა პროცესებში ჩაერიოს, სადაც ხელი მიუწვდება.***

– კრემლის ასეთი ქმედებები გაუგებარია. რუსეთისთვის ეს ხელსაყრელი არ არის, მაგრამ, რადგან კრემლი ძალისმიერად ცდილობს პრობლემების მოგვარებას (ჩეჩნეთი ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს), შეიძლება მას ესპანეთის ავტონომიის პრობლემებში ჩარევა სჭირდებოდეს მისი პატარა ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. თუმცა, საბოლოო ჯამში, რუსეთსაც არ უნდა აწყობდეს ურთიერთობების გაფუჭება, რადგან მისთვის ყველაზე მეტად არ არის ხელსაყრელი ის, რაც ხდება კატალონიაში.

***– შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ რეზოლუციას სავალდებულო ხასიათი არ აქვს და რა მნიშვნელობა აქვს, გაერო მიიღებს თუ არა რეზოლუციას. ამგვარ რეზოლუციებს, ალბათ, ზოგადი პროცესისთვის აქვს მნიშვნელობა. თქვენი შეფასებით, რა მნიშვნელობა ენიჭება დევნილთა დაბრუნების შესახებ გაეროს რეზოლუციებს?***

– ეს ის თემაა, რომელიც ხანდახან წამოიწევა ხოლმე. გაეროს რეზოლუციები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მცირდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებისთვისაც მიუღებელია სეპარატიზმი. კატალონიაში იმის გაკეთებას ცდილობენ, რაც მოხდა შოტლანდიაში. თუმცა, შოტლანდიაში სამართლებრივ ჩარჩოს არ გასცდნენ. კატალონიაში კი რეფერენდუმის ჩატარება რომ დააპირეს, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა. ესპანეთის კონსტიტუციით ავტონომიებში დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება აკრძალულია.

აფხაზეთში ჯერ ძალადობით გამოდევნეს მოსახლეობის სამი მესამედი და მერე ჩაატარეს ე.წ. რეფერენდუმი. გაეროს ერთ-ერთ რეზოლუციაში მსოფლიოს ქვეყნებმა აფხაზეთიდან მოსახლეობის გამოდევნა ანტიჰუმანურ, საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ღონისძიებად შეაფასეს. დევნილთა დაბრუნების თაობაზე გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციებით ამის შეხსენება ხდება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა.

***– მოგეხსენებათ, ბალტიისპირეთს დასავლეთი წლების განმავლობაში სსრკ-ის ნაწილად არ აღიარებდა, რის გამოც შემდგომში მათ უფრო გაუადვილდათ დამოუკიდებლობის მოპოვება. იმედია, გაეროს რეზოლუციები და მსოფლიოს ქვეყნების მხარდაჭერა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციაში ხელს შეგვიწყობს.***



– სხვადასხვა პროცესი ვითარდება. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ქვეყნის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ არა ძალადობით, არამედ გონიერებით დავარწმუნოთ აფხაზები, რომ ერთად ცხოვრება არის გარანტი აფხაზეთში მათი კულტურის, აფხაზური ენის დაცვისა, რაც მისცემს საშუალებას, ააშენონ აყვავებული ქვეყანა საქართველოს წიაღში. შედეგად აფხაზეთი იქნება კუთხე, სადაც მომავალ თაობას ექნება ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების შესაძლებლობა. ამას ცდილობს საერთაშორისო საზოგადოება.

***– რა პროცესები ვითარდება?***

– ვგულისხმობ სოხუმის ხელისუფლებაზე გავლენას, გაეროს, ევროკავშირის რეზოლუციებს, სხვადასხვა დონეზე შეხვედრებს.

***– რაიმე ერთობლივი პროექტების განხორციელება იგეგმება?***

– არა. საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს, გამონახოს ისეთი თემები, რომლებზეც აფხაზებსა და ქართველებს საერთო ინტერესი გვექნება.

***– მაგალითად?***

– ბუნების დაცვის პრობლემებში, მაგალითად, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა, კულტურული მემკვიდრეობა და სხვა, სადაც შეიძლება, ჩვენ ერთობლივი ხედვა ჩამოვაყალიბოთ პრობლემის მოსაგვარებლად. ფაროსანასა და ბზის პრობლემაზე ვცდილობდით, ერთობლივად გვემუშავა. ბზა დაზიანდა აფხაზეთშიც და აქეთაც.

***– ანუ ჩვენ აფხაზებს დავეხმარეთ ბზის გადარჩენაში?***

– ჩვენ უარს არ ვამბობთ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან. ეს არის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მოსახლეობასაც და აქეთ მცხოვრები მოსახლეობის ნაწილსაც.

## იენს სტოლტენბერგი: „საქართველო და უკრაინა კონცენტრირებული არიან რეფორმებზე“

– ჩრდილოატლანტიკური ალიანსი განაგრძობს ღია კარის პოლიტიკას და მზად არის ახალი წევრების მისაღებად, – განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა კანადაში ვიზიტისას, რომლის ციტატასაც „უკინფორმი“ ავრცელებს.

– ნატო-ს კარი ღიაა და ამის საუკეთესო დამადასტურებელი არის ის ფაქტი, რომ „ცივი ომის“ დასასრულიდან დღემდე ალიანსის წევრების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ამასთან, ამა წლის გაზაფხულზე ნატო-ში გაწევრიანდა მონტენეგრო და წევრების რაოდენობა 28-დან 29-მდე გაიზარდა, – განაცხადა სტოლტენბერგმა იმ კითხვის საპასუხოდ, რომელიც ალიანსში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივას ეხებოდა.

აქვე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ალიანსში გაწევრიანებისთვის საჭიროა, ქვეყანა გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს.



– საქართველო და უკრაინა ამჟამად სწორედაც კონცენტრირებული არიან რეფორმებზე: საკუთარი თავდაცვითი ინსტიტუტების მოდერნიზაციაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და დემოკრატიის გაძლიერებაზე. ნატო და მოკავშირეები ეხმარებიან ამ რეფორმების განხორციელებაში, – აღნიშნა სტოლტენბერგმა.

მისივე თქმით, ალიანსის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მესამე მხარეს ჩარევის უფლება არ აქვს.

**მედიანიუსი**

## იან კელი: „ჩვენ თანმიმდევრულად დავუჭერთ მხარს საქართველოს, ვიდრე ის ნატო-ს წევრი არ გახდება“



საქართველოში ამერიკის ელჩ იან კელის განცხადებით, აშშ საქართველოს მანამდე დაუჭერს მხარს, ვიდრე ის ნატო-ს წევრი არ გახდება.

ამის შესახებ კელიმ ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

– ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია სრულად შეესაბამება ამ განცხადებას. ჩვენ თანმიმდევრულად, ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის პერიოდიდან მოყოლებული, მხარს ვუჭერთ საქართველოს წევრობას ნატოში და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმაც, ზუსტად ეს განაცხადა აგვისტოში საქართველოში ვიზიტისას. ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს, სანამ იგი არ გახდება ნატოს წევრი, თუმცა რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვესმის, რომ ნატოს წევრი ყველა ქვეყნის თანხმობა და კონსენსუსია საჭირო ამისთვის, – განაცხადა ამერიკის ელჩმა.

**მედიანიუსი**


## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

# დემურ გიორხელიძე: „ლარის დღევანდელი კურსი მანიპულაციების შედეგია“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში 1 დოლარი 3 ლარი გახდეს.

***– ბატონო დემურ, 27 ნოემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ანგარიშით წარდგება პარლამენტის წინაშე. რა ახსნას ელოდებით გვენეტაძისგან და რით არის ლარის განპირობებული რყევები?***

– ამ რყევებს საქართველოს ეკონომიკაში ფუნდამენტური პრობლემები განაპირობებს, ასევე, არსებობს სუბიექტური ფაქტორები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გვაბოლებს, როდესაც აცხადებს, რომ არ ერევა ბაზრის მოქმედებაში, რაც თავისთავად გამაოგნებელია.

ფული, ქართული ლარი, უაღრესად ცოტაა. ცოტაა მასა ფულისა, რომელიც ფარავს იმ მწირ ეკონომიკას, რომელიც საქართველოშია. სულ 18%-ით არის ეროვნული ვალუტით გადაფარული ქართული ეკონომიკა, დანარჩენი დოლარია.

***– ლარიზაციის გეგმამ არ უშველა?***

– ეს არის ცენტრალური პრობლემა, რომელიც წლების წინ ჩამოყალიბდა. ეროვნული ბანკი კი ამას პრობლემად არ მიიჩნევს, გვეუბნება იმას, რაც პროფესიული თვალსაზრისით სერიოზულად არ აღიქმება. როდესაც ფული ასე ცოტაა და ქვეყანა იმპორტზეა ჩამოკიდებული,



ოდნავადაც კი რომ გაიზარდოს ბაზარზე მოთხოვნა ან მაღალი მოთხოვნა ხელოვნურად შექმნა, ეს ყველაფერი იძლევა იმ შედეგს, რაც გვაქვს. როდესაც ასეთ ფუნდამენტურ საკითხს ორ-სამ კომერციულ ბანკს მიანდობ, რომელსაც უნდა აკონტროლებდე, შესაბამისად, მკაცრი რეგულაციის ქვეშ უნდა გყავდეს და ამის ნაცვლად მომსახურების როლში იქნები, გექნება ის

## „ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს სპეკულაციურ ოპერაციებში ხელს უწყობს“

ვითარება, რომელიც გაქვს.

ეროვნული ბანკი ასევე ხელს უწყობს კომერციულ ბანკებს სპეკულაციური ოპერაციების განხორციელებაში, როდესაც მოკლევადიან სესხს აძლევს იმაზე მეტს, ვიდრე ეს ბანკებს სჭირდება. ამდენად, ბლეფი, ყალბი საუბრები იმაზე, რომ თითქოს ბუნებრივ პროცესთან გვაქვს საქმე, სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია, რადგან ეს არ არის ბუნებრივი. ჯერ ერთი, ბუნებრივიც რომ იყოს და ასეთი რამ ხდებოდეს რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში, იმ ქვეყნის ეკონომიკა განადგურებული იქნებოდა.

***– თუ ხელოვნურ პროცესთან გვაქვს საქმე, ეს ხომ დაანგრევს ეკონომიკას?***

– საქართველოს ეკონომიკა ისეა განადგურებული, რომ ეს მანიპულაციები, რომლებიც ვიწრო ჯგუფს ემსახურება, ძალიან ნეგატიურად ველარ მოქმედებს.

***– გამოდის, ქვეყანაში ეკონომიკურ პროცესს ბანკები მართავენ?***

– რა თქმა უნდა. ეს არ არის ბანკების ბრალი. ეს არსებული პოლიტიკის ბრალია. ხელისუფლებამ ბანკებს გადასცა უმნიშვნელოვანესი ბერკეტები და ჩვენ ვიმკით სწორედ ამ შედეგებს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ყველაზე დიდი შემაფერხებელი დღეს საქართველოს საბანკო სისტემაა. ამიტომ არის, რომ საბანკო სისტემა არანორმალურ მოგებებზე გადის, ქართული ეკონომიკა კი მძიმე მდგომარეობაშია.

***– ბატონო დემურ, ჩვენმა მკითხველებმა რჩევა რომ მიიღონ სპეციალისტისგან, როგორ უნდა იმოქმედონ ამ ვითარებაში? ასევე, საინტერესოა პროგნოზი, რამდენად რეალურია, რომ 1 დოლარი 3 ლარი გახდება.***

– დღევანდელი კურსი არ შეესაბამება ლარის რეალურ მსყიდველობით კურსს. ლარის არსებული გაცვლითი კურსი მანიპულაციების შედეგია. საქართველოს ეროვნული ვალუტა ძალიან გადაფასებულია. არსებული კურსი 2,7 ლარისთვის ძალიან მძიმეა. რატომ არის 3.0 ორიენტირი, ვერ ვხვდები. არ მინდა, მოსახლეობა დავაფრთხო, მაგრამ 3,0 არის ახლო მომავლის ორიენტირი, მაგრამ ის არც 3-ზე გაჩერდება, რადგანაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში არაფერი იცვლება.

საქართველოში მაკროეკონომიკური პოლიტიკა მთლიანობაში კარგად რომ იყოს გააზრებული, მაშინ ფულის მასის ზრდა მოხდებოდა არა ხელოვნურად, არამედ ეკონომიკის ზრდის კვალობაზე. საკმაოდ მაღალი ინფლაცია გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ფულის მასის ზრდა, ბევრი ფული არ არის მიმოქცევაში, ამიტომ ასეთი კურსის ფუნდამენტური რყევების საფუძველი არ არსებობს. მაშ რა ხდება?! მიზანმიმართული, სპეკულაციური რყევები და ნეგატიური მოლოდინები.

# ივა ჭყონია: „ფასების ზრდა გამორიცხული არ არის“

– იმ შემთხვევაში, თუ ლარის კურსი დღეს არსებულ ნიშნულზე შენარჩუნდება, ფასების ზრდა გარდაუვალი იქნება.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას დისტრიბუტორთა ასოციაციის პრეზიდენტმა ივა ჭყონიამ განაცხადა.



მისი თქმით, ბიზნესი ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია და ძირითადად პროდუქტებზე ფასები არ გაზრდილა. თუმცა, ფასის ზრდა უკვე აისახა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე და მათი ნაწილი სუპერმარკეტებში უკვე გაძვირდა.

– გამომდინარე იქიდან, რომ ლარის კურსი გარკვეულ ნიშნულთან არ არის მისული, რის შემდეგაც შესაძლოა კომპანიებმა ფასის ცვლილება მოახდინონ, ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში ვართ. ველოდებით, გადააბიჯებს თუ არა ლარი დოლარის შემთხვევაში 2.75-იან, ხოლო ევროს შემთხვევაში 3.25-იან ნიშნულს. იმედს ვიტოვებთ, გაცვლითი კურსი იმ ნიშნულს დაუბრუნდება, რაც 1-2 თვის წინ იყო. თუ ასე არ მოხდა, ალბათ ახალი წლისთვის, ფასის ცვლილება ძირითადად ყველა პროდუქტზე აისახება. თუმცა, როგორც ვიცი, სუპერმარკეტებში პირველადი მოხმარების ზოგ პროდუქტზე ფასის ცვლილება უკვე აისახა, – აღნიშნა ჭყონიამ.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ლარის კურსი დოლართან დაახლოებით 24 თეთრით გაუფასურდა. ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტ არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, კურსის რყევა მოლოდინებითაა გამოწვეული. მისივე თქმით, იმპორტიორებმა ვალუტის შესყიდვა ჯერ კიდევ აგვისტოდან დაიწყეს. ახლა კი ვალუტაზე მოთხოვნა უფრო გააქტიურებულია, რაც ასევე მოლოდინებთან არის დაკავშირებული.

ივა ჭყონიას ცნობით, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მომავალ კვირას, შესაძლოა, ასოციაციასა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართოს.

– მე არ მეგულება ისეთი იმპორტიორი კომპანია, რომელსაც იმის ფუფუნება და იმდენი ჭარბი ლარი აქვს, რომ მთელი წლის მარაგების საწყობში დასაგროვებლად იმდენივე დოლარი ან ევრო იყიდოს. ჩვენ სფეროში ფაქტობრივად მასე არ ხდება. გვაქვს მოლოდინი, რომ მომავალ კვირაში ეროვნულ ბანკთან გვექნება შეხვედრა. გვინდა გავარკვიოთ, რა როლი უჭირავთ იმპორტიორებს ამ პროცესში, ვინ ყიდულობს დოლარს, რატომ ყიდულობს ჭარბი რაოდენობით და რამდენად არის კურსის რყევა მათი მხრიდან გამოწვეული, – აღნიშნა ჭყონიამ.

**ბიპიენი**

# დავით მათიკაშვილი: „ლარი აუცილებლად დასტაბილურდება“



– დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ, რომ ლართან დაკავშირებით სტაბილურობა იყოს შენარჩუნებული.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა განაცხადა.

მათიკაშვილი ბოლო პერიოდში ეროვნული ვალუტის გაუფასურების საკითხს გამოეხმაურა.

– რამდენიმე ხნის წინ ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა, რომ როცა ლარი გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, აუცილებლად განახორციელებს ინტერვენციას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ, რომ შესაბამისი სტაბილურობა იყოს შენარჩუნებული.

ეს ასე იქნება. აუცილებლად დასტაბილურდება ლარი. საქართველოს ეროვნულო ბანკი თავის ფუნქციას შეასრულებს და მთავრობა – თავისას. მე მჯერა, რომ ჩვენ ამ პრობლემის წინაშე არ დავდგებით, – განაცხადა მათიკაშვილმა.

# ქართული ვირის რძე ევროპაში გავა – 1 კგ ყველის ღირებულება 1.500 ლარია

საქართველოში წარმოებული ვირის რძე, შესაძლოა, ექსპორტზე გავიდეს.

ვირების პირველი ფერმის „სახე-დარის“ დამფუძნებელი თემურ ლომიძე „საქმის კურსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ექსპორტზე შეთავაზება უკვე მიიღეს, თუმცა ევროპულ ბაზარს დიდი მოცულობით პროდუქცია სჭირდება, რის საშუალებაც ჯერჯერობით არ აქვთ.

– თუ ევროპის რომელიმე ქარხანას დავუდებთ ხელშეკრულებას, მას დღეში დაახლოებით 20 ლიტრი მაინც დასჭირდება, რისი საშუალებაც ჩვენ ჯერ არ გვაქვს. ექსპორტზე გასატანად ძირითადად ეს გვაფერხებს. ეკონომიკის სამინისტროსთან მქონდა კომუნიკაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო შემპირდა, რომ გატანის ლიცენზიას გაგვიკეთებდნენ და ამის პრობლემა არ გვაქვს და არც რძის ხარისხის პრობლემა დგას.



1 კილოგრამი ყველის ამოყვანას 20-დან 25 ლიტრამდე რძე სჭირდება, ანუ 25 ლიტრი რძის კონცენტრაცია ჩადის 1 კილო ყველში.

საქართველოში ერთი ლიტრი ვირის რძის ღირებულება 60 ლარია, ხოლო ევროპაში – 60 ევრო. 1 კილოგრამი ყველის ღირებულება კი რძის ფასიდან გამომდინარე დაახლოებით 1.500 ლარამდე გამოდის, – ამბობს თემურ ლომიძე.

**ბიზნესმედია**

# „ნიკორა“: „პროდუქციის გაძვირების ტალღა მოდის“




„ნიკორა ტრეიდის“ აღმასრულებელი დირექტორის დავით ურუშაძის განცხადებით, ლარის კურსის ცვლილების გამო „ნელ-ნელა რაღაცები ძვირდება“.

საქმის კურსთან საუბრისას კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ გაძვირება პირველადი მოხმარების პროდუქციას ჯერ არ შეხებია, მაგრამ თუ ლარის გაუფასურება გაგრძელდა, გაძვირება შესამჩნევი გახდება.

– ვერ ვიტყვი, რომ ტოტალურად ძვირდება პროდუქცია, თუმცა, ტალღა მოდის. კურსი ახლა, უხეშად რომ ვთქვათ, არის 2,7 მანამდე კი 2,45 იყო, კურსი შეიცვალა 10%-ით. ამ 10%-იდან დიდ ნაწილს ცალკე რითეილერი და ცალკე პროდუქციის მომწოდებელი შთანთქავს (მოგების შემცირების ხარჯზე). უხეში და არამეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდია, რომ მალე ეს ცვლილება, სავარაუდოდ, 5%-იან სხვაობას გამოიწვევს ფასებში, – აცხადებს დავით ურუშაძე.

მისი თქმით, საქართველოში პროდუქციის უმეტესობა იმპორტირებულია, ამიტომ კურსის ცვლილება ავტომატურად აისახება ფასზეც.

– წინა წლებში, როდესაც ასეთი სტრესული სიტუაციები იყო, მომწოდებლები ცდილობდნენ, არ გაეზარდათ ფასი. თავიანთი მოგების შემცირების ხარჯზე ცდილობენ, კურსის ცვლილება მომხმარებლამდე არ მიიტანონ ხოლმე. კრიტიკული ზღვარი ყველასთვის სხვადასხვაა. დღეს რთულია თქვა, რომ 2,8-ზე ფასები კრიტიკულად მოიმატებს. ვის როგორი ნაშთი აქვს და ვინ რა პოლიტიკას ირჩევს, აქედან გამომდინარე იცვლება ფასები.

ფასების ზრდას გარკვეულწილად ჩვენც ვაკავებთ ჩვენი მოგების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, კურსთაშორის სხვაობის გამო აგორებული ტალღა საბოლოო მომხმარებლამდე მიდის ცოტა დაგვიანებით. თუ მოხდა ისე, რომ კურსი ჯერ ძალიან ავარდა და შემდეგ ჩამოვარდა, შეიძლება, მომხმარებელმა ვერც იგრძნოს, რადგან ეს სხვაობა შთანთქოს მიმწოდებელმა და რითეილერმა, – აცხადებს დავით ურუშაძე.

**ბიზნესმედია**

# საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა კვლავ მცირდება

წლის პირველ 8 თვეში საქართველოს რკინიგზამ 6.988.580 ტონა ტვირთი გადაზიდა, რაც, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 919.000 ტონით შემცირებული მაჩვენებელია.

აქედან ადგილობრივ ტვირთებზე 1.252.229 ტონა მოდიოდა, ხოლო ექსპორტზე – 696.127 ტონა. იმპორტირებულმა ტვირთებმა საანგარიშო პერიოდში 1.677.170 ტონა შეადგინა, ტრანზიტულმა კი – 3.363.054 ტონა.




წლის პირველ 8 თვეში რკინიგზამ 23.447 TEUერთეული კონტეინერი გადაზიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე მცირედით გაზრდილი მაჩვენებელია.

შემცირდა ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის დინამიკა და მან 8 თვეში 2.927.467 ტონა შეადგინა, ნაცვლად გასული წლის 3.583.158 ტონისა.

# „კანონიერი ქურდები“ თურქეთში სისხლისღვრისთვის ემზადებიან



ყველაზე გავლენიანი აზერბაიჯანელი „კანონიერი ქურდი“ ნადირ სალიფოვი (ლოტუ გული) ქურდული სამყაროს „ბოსთა ბოსის“ ტიტულისათვის იბრძვის.

იგი, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ „ქურდების ბოსი“ არ უნდა არსებობდეს და ამ ტიტულის დაუფლების შემდეგ იგი თანამოძმეებს „ძმურად“ მოექცევა, თუმცა ვრცელდება ხმები, რომ ამგვარი პოზიცია სალიფოვს კონკურენტების მოსაშორებლად სჭირდება.

როგორც მოსალოდნელია, „გული“ პირველ დარტყმას სოხუმელთა დაჯგუფებასა და მის ლიდერს მერაბ ჯანგველაძეს მიაყენებს.

კოლონიიდან განთავისუფლების შემდეგ „გული“ თურქეთში დაფუძნდა და საკუთარი კლანის ფორმირება დაიწყო. თავიდან მან მოლაპარაკებები სოხუმელებთან დაიწყო, რომლებიც ადრე „როვშანთან“ (როვშან ჯანიევი) იყვნენ. როვშანი 2016 წელს ზაფხულში მოკლეს. იგი პირველად ჰაჯიბაბა ტალიბხანლის, როვშანის მცველსა და ერთგულ თანამებრძოლსაც დაელაპარაკა. ერთი შეხედვით, ორივემ დაივიწყა, რომ „გულის“ როვშანის მკვლელობაში ერთერთ მონაწილედ მიიჩნევდნენ. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „გული“ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ „კანონიერ ქურდად“ ითვლება.

ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ აზერბაიჯანელს აუცილებლად სჭირდებოდა რომელიმე „ძველი“ გავლენიანი ქურდის მხარდაჭერაც. ასეთი მერაბ სუხუმსკი (ჯანგველაძე) იყო.

თუმცა, მოულოდნელად, თურქეთის პოლიციამ ათამდე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წარმომადგენელი დააკავა, რომელთა შორისაც ზემოხსენებული ჰაჯიბაბა და როვშანის ძმა ნამიკ ჯანიევი იყვნენ. ისინი „გულის“ ერთ-ერთ ვილაზე თავდასხმას და იქ მყოფთა ამოხოცვას გეგმავდნენ, რომელთა შორისაც აზერბაიჯანელ ქურდთა ლიდერიც იყო.

„გულიმ“ ჰაჯის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მას ეჭვი მერაბ ჯანგველაძეზეც გაუჩნდა, რადგან ის ამ თავდასხმის შესახებ საქმის კურსში უნდა ყოფილიყო.

„გულიმ“ ვექტორები შეცვალა და კავშირები ახლა სოხუმელების მტრებთან გააბა. მათ შორის მერაბ ფიფიასთან, რომელიც არ ცნობდა მერაბს ქურდად. ასევე დაახლოვდა კუშნერთან და რაშიდ განჯელთან, რომლებიც მერაბის დიდი ხნის მტრები არიან. აქვე გაჩნდა სერგეი ჩაბანის (კიტაიეცი) ფიგურაც, რომელიც „ქურდად“ გელა ქარდავამ აკურთხა.

შაქრო კალაშოვმა გელას „უფლებამოსილებები“ შეაჩერა და, როგორც ჩანს, გელა ახლა ამ გზით ცდილობს მათ დაბრუნებას. არ გამორიცხავენ, რომ თურქეთში „კიტაიეცის“ გამოჩენის შემდეგ გელა ქარდავაც ჩამოვიდეს.

ყოველივე ამას შესანიშნავად ამჩნევს მერაბ ჯანგველაძე და მისი „სოხუმური კლანი“. ისინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ, ხალხმრავალ ადგილებში არც ჩნდებიან.

„კრიმინალური სამყაროს ექსპერტები“ აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „კანონიერი ქურდები“ თურქეთში სისხლისღვრისთვის ემზადებიან.

**ნიუპოსტი**

# იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის უფროსად ბესიკ ამირანაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ბესიკ ამირანაშვილი დაინიშნა. ბესიკ ამირანაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა.



ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს.

ამირანაშვილი 2008-2012 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა.

2012-2013 წწ. შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, 2013-2014 წწ. შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი, 2014-2015 წწ. შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი, 2015 წელს შსს-ს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროსი, 2015-2016 წწ. შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, 2016-2017 წლებში კი ბესიკ ამირანაშვილი იკავებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას.

ბესიკ ამირანაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2007 წელს.

# შსს-მ სარფში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ნ.ქ. ნარკოდანაშაულისთვის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 97 აბი და 3 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს.

# ავტოსაგზაო შემთხვევა ბათუმში — დაშავებულია მცირეწლოვანი

ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მცირეწლოვანი დაშავდა.



თვითმხილველების ინფორმაციით, დედას შვილი ქუჩაზე გადაჰყავდა, როდესაც ბავშვზე ხელი გაეშვა და მცირეწლოვანი მოულოდნელად მოძრავ მანქანას შეუვარდა.

მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია. ბავშვი მშობლებმა კლინიკა „ინტერმედიკაში“ გადაიყვანეს.

ექიმების თქმით, მცირეწლოვანი კონტაქტურია და მნიშვნელოვანი დაზიანებები არ აღენიშნება.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ყოფილი „თბილკონდიტერის“ შრომითი კოლექტივის (ქ.თბილისი, ხოშარაულის 27. საკადასტრო კოდი 01130500411О) 316 თანამესაკუთრეებისათვის ჩატარდება განმეორებითი საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.**

**მისამართი: წერეთლის 116, სასტუმრო „დიდუბე პლაზა“, IV სართული.**

**დღის წესრიგი:**

**1. აუდიტორიული ანგარიშის გაცნობა თანამესაკუთრეებისათვის. დაჯგუფების ხელმძღვანელისათვის აუდიტორიული ანგარიშის გადაცემა;**

**2. სხვა ორგანიზაციული საკითხები.**


# „ჩვენ ვცხოვრობთ ევროპული ფასებითა და ქართული ხელფასით“

## შემოსავლები და ხარჯები ევროპასა და საქართველოში



ევროპის ბაზართან შედარებით, ადგილობრივ ბაზარზე ხელფასების თანაფარდობა და მსყიდველობითუნარიანობა საკმაოდ დაბალია.

კერძოდ, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი ფაქტმა“ ადგილობრივი სამომხმარებლო ფასები და ხელფასები შეადარა პრაღის, ბერლინის, ბრიუსელისა და ტალინის ფასებსა და ხელფასებს.

აღმოჩნდა, რომ საშუალო ხელფასი ეროვნულ ვალუტაში ასე გამოიყურება:

ბრიუსელი – 9.800 ლარი, ბერლინი – 7.677 ლარი, ტალინი – 2.769 ლარი, პრაღა – 2.400 ლარი, თბილისი – 662 ლარი (2016 წლის მონაცემები).

ცნობილია, რომ ბოლო წლებში საშუალო ხელფასის ოდენობამ 900 ლარს მიაღწია, თუმცა ევროპის ქალაქებთან შედარებით მაინც მკვეთრად დაბალი მაჩვენებელია.

– საშუალო ხელფასი ჩვენთან გადასახადების გამოქვითვის შემდეგ არის პროპორციული, ევროპაში უფრო პროგრესულია, მიუხედავად ამისა, დაახლოებით 5-ჯერ უფრო დაბალია ხელფასი, ვიდრე ევროპაში. საშუალო ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველო არ მიეკუთვნება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, – განაცხადა სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ.

– ბოლო მონაცემებით, რომლებიც საქსტატმა გამოაქვეყნა, 900 ლარზეა მეტია საშუალო ხელფასი, თუმცა ეს არსობრივად არ ცვლის მდგომარეობას. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დღეს საქართველო არის საშუალო შემოსავლების ქვედა ქვეყნების რანგში. საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნები იყოფა რამდენიმე კატეგორიად და ჩვენ ყველაზე დაბალ კატეგორიაში ვართ, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოების კვლევის ცენტრის“ მკვლევარმა თორნიკე ჩივაძემ.

ფასები პროდუქტებზე ასე გამოიყურება:

1 ლიტრი რძე პრაღაში 1.66 ლარი ღირს, ბერლინში 1.77, ტალინში 1.41, ბრიუსელში 2.72 , ხოლო თბილისში 1.68 ლარი. პური პრაღაში 1.90 ლარი ღირს, ბერლინში 3.14 , ტალინში 1.95, ბრიუსელში 4.83 , ხოლო თბილისში 85 თეთრი.

თბილისში პროდუქტზე ფასი საკმაოდ დაბალია, თუმცა იმის გამო, რომ საქართველოში შემოსავალი დაბალია, სურსათზე გაწეულ ხარჯებს შემოსავლების დაახლოებით 70%-ია. პრაღაში აღნიშნულ სურსათზე შემოსავლის 2.4% მიდის, ბერლინში 1.1%, ტალინში 2.1%, ბრიუსელში 1.2%, თბილისში კი 5.2%.

– რა არის ჩვენი საშუალო შემოსავალი და მის რა პროცენტს ვხარჯავთ სურსათზე და რა პროცენტს ხარჯავს, ვთქვათ, გერმანელი, რომელიც იქ ყიდულობს პურს. გამოდის, რომ ჩვენთან საკვები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ევროპაში, სადაც ხელფასი მაღალია. ჩვენი ქვეყნის მონაცემებით ჩვენ ჩამოვუვარდებით უკრაინასაც კი. უფრო მეტად ვგავართ ჩვენი რეგიონის ქვეყნებს. რომ შევაჯამოთ საერთო სურათი – ჩვენ ვცხოვრობთ ევროპული ფასებით და ქართული ხელფასით, – განაცხადა „აი ფაქტის“ ჟურნალისტმა, კვლევის ავტორმა ნინო ბაქრაძემ.

სპეციალისტების შეფასებით, ეკონომიკური ზრდა, პირველ რიგში, უნდა აისახოს პიროვნების შემოსავალსა და ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონზე. ამ შემთხვევაში საშუალო შემოსავლის ოდენობასა და პროდუქტების თანაფარდობის დისბალანსის პრობლემაც მოგვარდება და გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა.

მათივე თქმით, სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ლარის კურსი დოლართან მუდმივად ეცემა, საქართველო კი იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, შესაბამისად, პროდუქცია, რომელიც უცხოეთიდან შემოდის, ძვირდება.

– უახლოესი წლების პოლიტიკა უნდა იყოს, რომ გავიმყაროთ ადგილი საშუალო განვითარების ქვეყნების რიგში, მათ შორის ხელფასების ზრდისა და ხელფასების მიმღებთა რაოდენობის თვალსაზრისით, – განაცხადა სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ.

**ბიზნესკოდი**

# საქართველოში ყველაზე გრძელი, ქვიშხეთი-ზვარეს, გვირაბის გათხრის სამუშაოები დასრულდა



საქართველოში სიგრძით ყველაზე დიდი, თითქმის 8,5 კმ-იანი გვირაბის გათხრის სამუშაოები დასრულდა. ქვიშხეთი-ზვარეს გვირაბის მშენებლობის პრეზენტაციას, რომელიც თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ნაწილია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

მთავრობის მეთაური შეფასებით, პროექტის განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

– ამ მასშტაბური პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობა, გაძლიერდება ულელტეხილის მონაკვეთზე მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოება, და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შემცირდება მგზავრობის დრო და მატარებელი თბილისიდან ბათუმამდე მანძილს კიდევ უფრო მოკლე დროში დაფარავს. „საქართველოს რკინიგზა“ ძალიან დიდ ძალისხმევას დებს, რათა რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი დროულად და სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდეს. ჩვენი გათვლით, პროექტი 2020 წლისთვის დასრულდება.



ასე რომ, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით მალე ჩვენ გვექნება მოდერნიზებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, რკინიგზის მოდერნიზების პროექტი მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტის – სივრცითი მოწყობის ნაწილია, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანას ექნება სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა – ახალი და განახლებული რკინიგზის სადგურებით, პორტებითა და აეროპორტებით, ტურისტული ინფრასტრუქტურით.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ყველა ამ მასშტაბური პროექტის განხორციელება არა მარტო საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას ეყრდნობა, არამედ პროცესში ჩართული არიან უცხოელ ექსპერტთა, სპეციალისტთა და მშენებელთა ძალიან მნიშვნელოვანი ჯგუფები.

პრემიერის შეფასებით, სწორედ ასეთია „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“, რომელიც ულელტეხილის მონაკვეთზე რთული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობას ახორციელებს. გიორგი კვირიკაშვილმა მას გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ პროექტს ზედამხედველობას უწევს ასევე საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია – ILF-ისა და DB International-ის კონსორციუმი.

– მინდა, აქვე ვისარგებლო შემთხვევით და რკინიგზის უკვე ყოფილ დირექტორს, მამუკა ბახტაძეს გადავუხადო დიდი მადლობა გაწეული ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის და ასევე მინდა ვუსურვო მას წარმატება იმ პოზიციაზე, რომელსაც იგი დღეს უკვე იკავებს – ფინანსთა მინისტრის პოზიციაზე; დარწმუნებული ვარ ამ წარმატებაში, – აღნიშნა პრემიერმა.

**ბიზნესმედია**

2017, 20 ნოემბერი, №275

# ახლო აღმოსავლეთში დიდი ცვლილებებია

## ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთთან უკრაინაშიც ითანამშრომლებენ?

მარიამ მჭედლიშვილი



ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსაგან“ სირიისა და ერაყის გათავისუფლება მოასწავებს ახალ რეალობას ახლო აღმოსავლეთში. საუბარია არა მხოლოდ ტერორისტების ამ რეგიონიდან განდევნაზე, არამედ, გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებსაც გადასწვდება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უახლოეს ხანში ახლო აღმოსავლეთში პოზიციებს გაიმყარებენ აშშ და რუსეთი, რომლებიც შეავიწროებენ ადგილობრივ მოთამაშეებს. ამ მიმართულებით ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთთან უფრო მეტად ითანამშრომლებენ, ვიდრე ეს საჯარო პროცესებიდან ჩანს.

ვიეტნამში ტრამპმა და პუტინმა შეხვედრისას აღიარეს, რომ სირიის კონფლიქტი სამხედრო გზით ვერ გადაიჭრება. მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს ჟენევის პროცესის ფარგლებში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად. პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ აშშ და რუსეთი შეეცდებიან კოორდინაციას ისლამურ სახელმწიფოზე საბოლოო გამარჯვების მისაღწევად და სირიაში გაეროს მეთვალყურეობით არჩევნების ჩასატარებლად.

ბოლო დროს სირიის მოვლენებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ ასტანის პროცესის მონაწილე სახელმწიფოები — რუსეთი, თურქეთი და ირანი. 22 ნოემბერს სოჭში ერთმანეთს შეხვდებიან ამ ქვეყნების პრეზიდენტები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოსკოვის, თურქეთისა და თეირანის ეს მოლაპარაკებები სირიის საკითხზე არ იქნება მიმართული აშშ-ის წინააღმდეგ.

არ გამართლდა პროგნოზი იმის შესახებ, რომ ირანთან დაპირისპირებული აშშ თურქეთთან პარტნიორობის განმტკიცებით დაშლიდა მოსკოვი-ანკარა-თეირანის სამეულს. ეს ალიანსი ამ ეტაპზე არ იშლება. ამავდროულად, რუსეთი სირიის საკითხზე არ გადაუხვევს აშშ-სთან მიღწეულ შეთანხმებას. ექსპერტების ინფორმაციით, ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში ვაშინგტონი და მოსკოვი მომავალში შეთანხმებულად იმოქმედებენ, რაც ყოველთვის არ აისახება საჯარო განცხადებებში.

მიმომხილველების აზრით, თურქეთი ახლო აღმოსავლეთში სერიოზულ მოთამაშედ იქცა რუსეთთან ალიანსის შემდეგ. ამ კავშირმა რეგიონში ირანიც გააძლიერა.

ისევ პრობლემატურია ურთიერთობები ირანსა და თურქეთს შორის, ასევე თურქეთის დაპირისპირება ქურთებთან.

ექსპერტთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ აშშ ხელს შეუწყობს სირიასა და ერაყში ქურთული ავტონომიების შექმნას. სირიის ჩრდილოეთში ამერიკელები თავიანთ სამხედრო ბაზებსაც ამაგრებენ. თურქები ისევ იმუქრებიან, რომ შეუტევენ სირიის ქურთულ ანკლავს აფრინში.

„ლე მონდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თავის პოზიციას მიმდინარე მოვლენების მიმართ გამოხატავენ სირიაში მყოფი ქურთები. მათი შეფასებით, მთავარი დაპირისპირებული მხარეები ამჟამად სირიაში ქურთები და ბაშარ ასადის მმართველობაა.

— სირიაში ბრძოლის ველზე ორი ძალა დავრჩით, ჩვენ და რეჟიმი, — ამბობს სირიის დემოკრატიული ძალების აქტივისტი.

მისი თქმით, პროცესი ან დიდი კონფრონტაციით დასრულდება, ან — პოლიტიკური მოლაპარაკებებითა და ავტონომიით.

ორგანიზაცია „სირიის დემოკრატიული ძალები“ ქურთების მუშათა პარტიის ბაზაზე ჩამოყალიბდა. მუშათა პარტია თურქეთში 1 980 წლიდან აქტიურობს.

„ლე მონდთან“ საუბარში ქურთები აცხადებენ, რომ ამერიკელებს ახლო აღმოსავლეთში სამხედრო სტრატეგიული უნარი აღმოაჩნდათ, მათი პოლიტიკური ხედვა კი აღარ ჩანს. ქურთებს სირიის ქურთისტანის ავტონომიის საკითხში რუსეთის იმედი აქვთ.

— შეგვიძლია წავიდეთ კომპრომისზე რუსებთან, რომლებიც, თავის მხრივ, შეძლებენ გავლენის მოხდენას რეჟიმზე, — აღნიშნავს სირიის დემოკრატიული ძალების თანათავმჯდომარე ილხამ ახმედი.

# ოდესაში კონსტანტინე რაიკინის კონცერტი ჩაშალეს



რამდენიმე დღის წინ ოდესაში ცნობილი რუსი მსახიობის კონსტანტინე რაიკინის (არკადი რაიკინის ვაჟი) კონცერტი ჩაშალეს.

ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთი ნომრის დროს რაიკინმა ყირიმი ახსენა. დარბაზიდან გაისმა ხმა:

— ვისია ყირიმი?

— რა თქმა უნდა, რუსეთის! — მიუგო რაიკინმა.

ამან დამსწრე საზოგადოება აღაშფოთა. გაისმა ყვირილი: „გაეთრიე!“ ზოგიერთები შეეცადნენ, რაიკინი დაეცვათ, მაგრამ ამაოდ. ხალხმა ისინი დარბაზიდან ცემა-ტყეპით გააძევა. გამოიძახეს პოლიცია, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა. საბოლოოდ რაიკინი იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა.

კონცერტი ჩაიშალა.

ოდესაში რაიკინის კონცერტის ჩაშლას რუსული მედია გამოეხმაურა. რუსებმა დაიწყეს მტკიცება, რომ ნაცონალისტური ორგანიზაცია მემარჯვენე სექტორის აქტივისტები დარბაზში შეიჭრნენ და კონცერტი ჩაშალეს. სინამდვილეში კონფლიქტი რუსი მსახიობის არაკორექტული განცხადების გამო დაიწყო. რაიკინიც არა მემარჯვენე სექტორმა, არამედ დამსწრე საზოგადოებამ გააძევა.

ცნობილმა რუსმა მომღერალმა კობზონმა ოდესის ინციდენტს ბანდერელთა მორიგი ტერორისტული აქცია უწოდა. მან რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა, დაიცვას უკრაინაში მცხოვრები რუსები.

— დროა, უკრაინაში ჯარი შევიყვანო და ჩვენი თანამემამულეები ბანდერელთა ტერორისაგან დავიცვათ, — ამბობს კობზონი.

რუსი მომღერლის აზრით, უკვე ერთი წლის შემდეგ უკრაინაში მოსახლეობის იმედგაცრუება იმდენად გაიზრდება, რომ ეს აჯანყებაში გადაიზრდება. ყოველივე კი ან უკრაინის დაშლით, ან ხელისუფლებაში პუტინის ნათესავის ვიქტორ მედვედჩუკის მოსვლით დაგვირგვინდება. შემდეგ ამას უკრაინის ფედერალიზაცია და რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება მოჰყვება.

— რასაკვირველია, მხოლოდ უკრაინის ძალებით ეს ვერ მოხერხდება! რუსეთი მზად უნდა იყოს საიმისოდ, რომ უკრაინაში ჯარი შეიყვანოს და იქაურ რუსულ მოსახლეობას დაეხმაროს, — თქვა კობზონმა.

# სროლა მოსკოვ-სიტისთან

მოსკოვის საქმიან კომპლექს მოსკოვ-სიტისთან სროლა მოხდა. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.

თავდამსხმელებმა მიმალვა შეძლეს.



რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელ ივანოვას ცნობით, მოსკოვ-სიტის რამდენიმე ვიზიტორსა და დაცვას შორის მოხდა კონფლიქტი. ატყდა ჩხუბი, რომელიც შემდგომში ორმხრივ სროლაში გადაიზარდა.

— დღეისთვის ამ ინციდენტის რამდენიმე მონაწილე დავაკავეთ. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, — ამბობს ივანოვა.

# ლიბერმანი: „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილმა კოალიციამ თავი ამოწურა“

ზომიერი არაბული ქვეყნების ლიდერები იერუსალიმში უნდა ჩამოვიდნენ, რათა ისრაელთან ერთად ირანის წინააღმდეგ კოალიცია შექმნან.

ამის შესახებ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა დაწერა.

ავიგდორ ლიბერმანი ისრაელში ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადატის ისტორიული ვიზიტის 40 წლისთავს გამოეხმაურა.

„ანვარ სადატის ისრაელში ისტორიული ვიზიტიდან 40 წლის შემდეგ რეგიონის ლიდერებს მოვუწოდებ, პრეზიდენტ სადატის ნაბიჯებს მიბაძონ და იერუსალიმში ჩამოვიდნენ, რათა ახალი ფურცელი გადავშალოთ არა მხოლოდ ისრაელისა და არაბული სამყაროს ურთიერთობების კუთხით, არამედ მთლიანად რეგიონის მასშტაბით. ახლო აღმოსავლეთს, როგორც არასოდეს, სჭირდება ზომიერი ქვეყნების კოალიცია ირანის წინააღმდეგ“, — აღნიშნა ავიგდორ ლიბერმანმა.

ისრაელის თავდაცვის მინისტრის თქმით, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილმა კოალიციამ თავისი თავი ამოწურა“.

„ისლამური სახელმწიფოს“ შემდეგ ირანია“, — დასძინა მან.

# ჰილარი კლინტონი: „პუტინი აშშ-სათვის უპირველესი საფრთხეა!“

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ მისი სამშობლოსთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არა ისლამური ტერორიზმი, არა ჩინეთი, არამედ რუსეთი, რომლის პრეზიდენტიც ვლადიმერ პუტინია.



— პუტინი აშშ-სათვის უპირველესი საფრთხეა! — თქვა კლინტონმა.

ჰილარიმ დემოკრატიული სამყაროს ლიდერებს მოუწოდა, რუსული საფრთხის წინააღმდეგ დაირაზმონ და აგრესორს საკადრისი პასუხი გასცენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21



## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამო ჩემპიონობისკენ მიიწევს, შუქურა — ქვედა ლიგისკენ

<u>შუქურა-დინამო (თბ) 0:1</u>

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 კვარაცხელია (78)

**შუქურა:** მელნიჩენკო, კალანდაძე (ართმელაძე 21), გოგიტიძე, ჩაჩუა, კახელიშვილი, ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო, ს.გურული, შალამბერიძე, ჩაგელიშვილი (მალაზონია 84)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, თოთაძე, გეგეჭკორი, კიტეიშვილი, მიქელთაძე (გადრანი 90), შულაია, ქოჩლაძე, სალუქვაძე, კობოური, კუცია (დავითაშვილი 46), ბ.ქავთარაძე (კვარაცხელია 57)

მოლოდინისამებრ საინტერესო გამოდგა ბათუმის რაგბი არენაზე გამართული ქობულეთის შუქურასა და თბილისის დინამოს დაპირისპირება. დინამოელებმა მძიმე ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხეს მეტოქე და ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად რჩებიან.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 79-ე წუთზე გავიდა. საჯარიმოში შეჭრილი ხვიჩა კვარაცხელია რამდენიმე მეტოქეს გასცდა და ვლადიმირ მელნიჩენკოს მაღალ კუთხეში გაუტანა. ეს გოლი, შესაძლოა, საჩემპიონო გამოდგეს.

ამ მარცხით ქობულეთელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ გიორგი შაშიაშვილის გუნდი მომავალ სეზონს ეროვნულ ლიგა 2-ში დაიწყებს.

<u>ჩიხურა-ტორპედო 1:3</u>

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 დოლიძე (25), 1:1 გორგიაშვილი (55), 1:2 ჩიკვაიძე (59სკ), 1:3 კუტალია (70)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, გრიგალაშვილი, მირცხულავა, გაბედავა, სარდალიშვილი, კაკუბავა, ლექვთაძე (კორიფაძე 78), კვერნაძე (ცხადაძე 61), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (ფონიავა 80), გორგიაშვილი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, მამასახლისი (გიგაური 59), კაპანაძე, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, გ.გურული, კუტალია (ბერიაშვილი 86), დოლიძე (კორობკა 83), ტუღუში

იმერულმა დერბიმ მოლოდინი გაამართლა და მაყურებელმა სანახაობრივი მატჩი იხილა. საჩხერის ჩიხურა და ქუთაისის ტორპედოს შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა, მომენტები ორივე კართან საკმაო რაოდენობით შეიქმნა და ქუთაისელთა გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

ანგარიში 25-ე წუთზე სტუმრებმა გახსნეს. ვაჟა ტაბატაძის მოწოდებული აუტის შემდეგ, საჯარიმოში შეჭრილმა გრიგოლ დოლიძემ მახვილი კუთხიდან გაიტანა. მიუხედავად რამდენიმე სახიფათო მომენტისა, პირველ ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ნახევარი საჩხერელთა აქტიურობით განახლდა და 55-ე წუთზე სოსო ფრუიძის გუნდმა წონასწორობა აღადგინა. საჯარიმოს მისადგომებიდან შედეგიანი დარტყმა თორნიკე გორგიაშვილმა შეასრულა. ტორპედოელებმა მეტოქეს სიხარული არ აცადეს და 4 წუთში კვლავ დაწინაურდნენ — თორნიკე კაპანაძის გამჭოლი პასის შედეგად ლაშა ჩიკვაიძემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამის შემდეგ სრულ სათამაშო უპირატესობას ტორპედო დაეუფლა და ქუთაისელებს შეხვედრის სასურველი შედეგით დასრულება არ გასჭირვებიათ. საბოლოო ანგარიში 70-ე წუთზე დაფიქსირდა, ლევან კუტალიამ მეტოქის კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა და ცარიელ კარში გაიტანა.

<u>სამტრედია-კოლხეთი 5:0</u>

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 საბანაძე (19), 2:0, 3:0 ოლაიტანი (33, 48), 4:0 გიი (59), 5:0 მანჯგალაძე (73)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, კასრაძე, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი (სამუშია 64), საბანაძე, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, ბალდე, დათუნაიშვილი, გიი (ოლხოვი 68), ოლაიტანი (ბურკაძე 77)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გიორგი კილასონია (ჟიშკარიანი 57), გურეშიძე, გოგონაია, ნონდი (ლუკა მახარაძე 63), კაკულია, ბროვკო, დერებჩინსკი, ჯანელიძე, მაჩარია, ბუხაიძე

მთელი მატჩის განმავლობაში სათამაშო უპირატესობას იმერლები ფლობდნენ და პირველ ნახევარში გიორგი ბუხაიძის სახიფათო დარტყმას თუ არ ჩავთვლით შეიძლება ითქვას, რომ ფოთელებს რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. ანგარიში მე-18 წუთზე გაიხსნა, ნიკოლოზ საბანაძემ მეკარის შეცდომით ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა. მატჩი მასპინძელთა შეტევებით გაგრძელდა და პირველი ნახევრის დასრულებამდე სამტრედიამ კიდევ ერთხელ გაიტანა: 33-ე წუთზე მაიკლ ოლაიტანმა დავით რაჟამაშვილის გრძელი გადაცემა მიიღო, ტექნიკური თამაშით მეტოქე ჩამოიშორა და კოკა სეფიაშვილს ძლიერი დარტყმით გაუტანა.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა. სამტრედიამ მესამე გოლი საწყის წუთებზევე გაიტანა და კიდევ უფრო დიდ უპირატესობას დაეუფლა. 48-ე წუთზე ოლაიტანმა დუბლი გაიფორმა. ამ მომენტიდან ზუსტად 11 წუთში სამტრედიელებმა სხვაობა ოთხამდე გაზარდეს, ამჯერად ოლაიტანის პასით ანტე გიიმ გაიტანა. საბოლოო ანგარიში მატჩის მიწურულს დაფიქსირდა, 73-ე წუთზე ბაკარ ბალდეს გამჭოლი გადაცემით გიული მანჯგალაძემ გაიტანა.



ამ გამარჯვებით სამტრედიამ 64 ქულა დააგროვა და მესამე ადგილი გაინაღდა.

<u>დილა-ლოკომოტივი 2:1</u>

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0, 2:0 ფანცულაია (25, 53), 2:1 ქავთარაძე (59)

**დილა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, პაპავა, წიქარიძე (გოგატიშვილი 67), ნონიკაშვილი (დერეტი 82), ფანცულაია (ქარქუზაშვილი 73), აბუბაქარი, კირკიტაძე, კვახაძე, მორასი, ძარია

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია (გვალია 58), ქავთარაძე, დიასამიძე, გოროზია, არველაძე (კიკაბიძე 46), გაბაძე (გაბრიჩიძე 75), ლევან ქურდაძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი

**გაძევება:** მაჩაიძე (71)

გორის დილამ „თენგიზ ბურჯანაძეზე" თბილისის ლოკომოტივი 2:1 დაამარცხა და ეროვნულ ლიგაში დარჩენა გაინაღდა.

ანგარიში 25-ე წუთზე გორელებმა გახსნეს: თენგიზ წიქარიძის ჩაწოდების შემდეგ რევაზ თევდორაძემ ალექსანდრე კვახაძის თავური მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას გიორგი ფანცულაიამ დაასწრო და დაუცველ კარში გაიტანა. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში ლოკოს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ გიორგი დიასამიძის დარტყმული ბეგაშვილმა მოიგერია.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა აქტიურობით განახლდა და 53-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ დუბლი გაიფორმა. ამის შემდეგმ დილამ უკან დაიხია და ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებმა მოიპოვეს.

შედეგად 59-ე წუთზე გიორგი გაბაძის გადაცემით ნოდარ ქავთარაძემ სხვაობა შეამცირა. ლოკომოტივმა კიდევ უფრო აქტიურად შეუტია და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. 71-ე წუთზე მასპინძლები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ — არბიტრმა გოდერძი მაჩაიძე გააძევა და დილა მოედანზე კაცნაკლული დარჩა. თუმცა ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში თბილისელთა შემტევმა გიორგი დიასამიძემ ტრავმა მიიღო, მაგრამ გიორგი დევდარიანს უკვე ყველა ცვლილება გამოყენებული ჰქონდა, თამაში ლოკომოტივმაც 10-კაციანი შემადგენლობით გააგრძელა. შეხვედრის მიწურულს სტუმრებს რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ გიორგი ბეგაშვილის კარგი თამაშის წყალობით დილამ ანგარიში შეინარჩუნა და უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა.

<u>დინამო (ბთ)-საბურთალო 1:2</u>

**ბათუმი. რაგბი არენა**

1:0 გრიგალაშვილი (3), 1:1 მუეცი (56), 1:2 ვოლკოვი (60)

**დინამო:** ტაკიძე, ფარტენაძე, ქორიძე, ვარშანიძე, ქავთარაძე (ფლამარიონი 81), შონია, თევდორაძე (მარცვალაძე 74), სუხიაშვილი, გრიგალაშვილი, მგელაძე, კვასოვი

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი (გვარაძე 79), შინდაგორიძე (იმნაძე 83), ხარაიშვილი, ჩაბრაძე, თარხნიშვილი, ვოლკოვი (ტერა 63), მუეცი

გულშემატკივარმა 2 განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველი ნახევარი ბათუმელთა გამარჯვებით დასრულდა. აჭარული კლუბი მატჩის საწყის წუთებზევე დაწინაურდა მე-3 წუთზე სტუმრებს ელგუჯა გრიგალაშვილმა გაუტანა. ტაიმის დასრულებამდე ბათუმელებს კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელებს სიზუსტე არ ჰყოფნიდათ.

მე-2 ნახევარიც მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო, მაგრამ მალევე საბურთალოელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და უპირატესობას დაეუფლნენ. გადამწყვეტი გამოდგა 4-წუთიანი მონაკვეთი, როდესაც სტუმრებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს შემდეგ კი, დაწინაურდნენ. 56-ე წუთზე მცველების შეცდომით ნდუე მუეცმა ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია. მე-60 წუთზე კი, გიორგი ხარაიშვილის ჩაწოდებით დავით ვოლკოვმა გაიტანა.

ამის შემდეგ თამაშს საბურთალო აკონტროლებდა, მაგრამ ბათუმელებმა რამდენიმე კარგი მომენტის შექმნა მაინც მოახერხეს. საბოლოოდ ანგარიში აღარ შეცვლილა და ზღვისპირელებს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება გადათამაშებაში მოუწევს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 34 | 23 | 5 | 6 | 79-28 | 74 |
| 2.ტორპედო | 34 | 21 | 7 | 6 | 56-27 | 70 |
| 3.სამტრედია | 34 | 19 | 7 | 8 | 55-35 | 64 |
| 4.საბურთალო | 34 | 17 | 5 | 12 | 59-41 | 56 |
| 5.ლოკომოტივი | 34 | 16 | 5 | 13 | 61-47 | 53 |
| 6.ჩიხურა | 34 | 15 | 4 | 15 | 42-54 | 49 |
| 7.დილა | 34 | 11 | 7 | 16 | 39-48 | 40 |
| 8.დინამო (ბთ) | 34 | 10 | 3 | 21 | 27-56 | 33 |
| 9.კოლხეთი | 34 | 5 | 8 | 21 | 29-68 | 23 |
| 10.შუქურა | 34 | 3 | 9 | 22 | 33-76 | 18 |

# ფაჩულიამ და გოლდენმა წაგებული მატჩი შემოატრიალეს



გოლდენ სტეიტ უორიორზი ბოსტონთან მარცხის შემდეგ ფილადელფიაშიც ახლოს იყვნენ წაგებასთან, მაგრამ მეტოქეს 24 ქულიანი დეფიციტი ამოუქაჩეს და სიქსერზი 124:116 დაამარცხეს.

გოლდენ სტეიტმა ჩაგდებული პირველი ტაიმის შემდეგ საოცარი მე-3 მეოთხედი ჩაატარა, რომელიც 47:15 მოიგო და შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ამ მონაკვეთში შეუდარებელი იყო სტეფ კარი. მან 20 ქულა დააგროვა.

ჩვეულად სასტარტოში იყო ფაჩულია. ქართველმა ცენტრმა 15 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევისას), თითო პასი-ჩაჭრა მიითვალა. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 3 საჯარიმოდან მიზანს 2-მა უწია.

გოლდენ სტეიტი 12 მოგებითა და 4 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში ჰიუსტონის შემდეგ მეორეა. მომდევნო მატჩს ოკლენდელები კვლავ სტუმრად, ნიუ იორკში ბრუკლინ ნეთსთან ჩაატარებენ.

# შედეგები

**18 ნოემბერი**

<u>ფეხბურთი</u>

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ტოტენჰემი .................... 2:0
ბორნმუთი-ჰადერსფილდი ............ 4:0
ბარნლი-სუონსი ............................ 2:0
კრ.პალასი-ევერტონი .................... 2:2
ლესტერი-სიტი ............................. 0:2
ლივერპული-საუთჰემპტონი .......... 3:0
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი ................. 0:4
მანჩესტერი-ნიუკასლი ................. 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 40-7 | 34 |
| 2.მანჩესტერი | 12 | 8 | 2 | 2 | 27-6 | 26 |
| 3.ჩელსი | 12 | 8 | 1 | 3 | 23-10 | 25 |
| 4.ტოტენჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-9 | 23 |
| 5.ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 24-17 | 22 |
| 6.არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-16 | 22 |
| 7.ბარნლი | 12 | 6 | 4 | 2 | 12-9 | 22 |
| 8.ბრაიტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-11 | 15 |
| 9.უოტფორდი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-21 | 15 |
| 10.ჰადერსფილდი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-17 | 15 |
| 11.ნიუკასლი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-14 | 14 |
| 12.ლესტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-18 | 13 |
| 13.ბორნმუთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-14 | 13 |
| 14.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-14 | 13 |
| 15.სტოკი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-22 | 12 |
| 16.ევერტონი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-24 | 12 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-18 | 10 |
| 18.ვესტ ჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-23 | 9 |
| 19.სუონსი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-15 | 8 |
| 20.კრ.პალასი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-24 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ნოტინგემი ................... 1:0
კარდიფი-ბრენტფორდი .................. 2:0
ქპრ-ასტონ ვილა ............................ 1:2
ნორვიჩი-ბარნსლი ......................... 1:1
რედინგი-ვულვზი ........................... 0:2
სანდერლენდი-მილუოლი ............... 2:2
ჰალი-იფსვიჩი ................................ 2:2
უენსდი-ბრისტოლი ......................... 0:0
ფულემი-დერბი .............................. 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ალავესი ............................. 4:1
ლეგანესი-ბარსელონა ..................... 0:3
სევილია-სელტა .............................. 2:1
ატლეტიკო-რეალი .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 33-4 | 34 |
| 2.ვალენსია | 11 | 8 | 3 | 0 | 30-11 | 27 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 22-9 | 24 |
| 4.ატლეტიკო | 12 | 6 | 6 | 0 | 16-6 | 24 |
| 5.სევილია | 12 | 7 | 1 | 4 | 14-12 | 22 |
| 6.ვილიარეალი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-11 | 20 |
| 7.სოსიედადი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-22 | 18 |
| 8.ბეტისი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლეგანესი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-11 | 17 |
| 10.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 11.ხირონა | 12 | 4 | 4 | 4 | 14-17 | 16 |
| 12.სელტა | 12 | 4 | 2 | 6 | 23-19 | 14 |
| 13.ესპანიოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-13 | 13 |
| 14.ლევანტე | 11 | 2 | 6 | 3 | 12-15 | 12 |
| 15.ბილბაო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-15 | 11 |
| 16.დეპორტივო | 11 | 3 | 2 | 6 | 13-20 | 11 |
| 17.ეიბარი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-25 | 8 |
| 18.ალავესი | 12 | 2 | 0 | 10 | 6-20 | 6 |
| 19.ლას პალმასი | 11 | 2 | 0 | 9 | 8-28 | 6 |
| 20.მალაგა | 11 | 1 | 1 | 9 | 6-23 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ტენერიფე ............................. 3:0
ვალიდოლიდი-ოვიედო ................... 3:1
ლორკა-ლუგო .................................. 1:2
რეუსი-ალბასეტე ............................. 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აუგსბურგი ......................... 3:0
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი ................... 1:1
ლევერკუზენი-ლაიპციგი .................. 2:2
მაინცი-კიოლნი ................................ 1:0
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი ................ 3:1
ჰერტა-გლადბახი ............................. 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-8 | 29 |
| 2.ლაიპციგი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-15 | 23 |
| 3.გლადბახი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-21 | 21 |
| 4.დორტმუნდი | 12 | 6 | 2 | 4 | 29-16 | 20 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 5 | 2 | 21-15 | 20 |
| 6.შალკე | 11 | 6 | 2 | 3 | 14-10 | 20 |
| 7.აინტრახტი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-12 | 19 |
| 8.ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-11 | 18 |
| 9.ლევერკუზენი | 12 | 4 | 5 | 3 | 25-18 | 17 |
| 10.აუგსბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-14 | 16 |
| 11.შტუტგარტი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-15 | 16 |
| 12.მაინცი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-17 | 15 |
| 13.ვოლფსბურგი | 12 | 2 | 8 | 2 | 16-17 | 14 |
| 14.ჰერტა | 12 | 3 | 5 | 4 | 16-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-18 | 10 |
| 16.ფრაიბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 7-24 | 8 |
| 17.ვერდერი | 11 | 0 | 5 | 6 | 4-14 | 5 |
| 18.კიოლნი | 12 | 0 | 2 | 10 | 4-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ფიურტი ............................. 1:1
ნიურნბერგი-კილი ........................... 2:2
ჰაიდენჰაიმი-უნიონი ........................ 4:3

**იტალია. სერია ა**

რომა-ლაციო ................................... 2:1
ნაპოლი-მილანი .............................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 34-9 | 35 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 35-11 | 31 |
| 3.რომა | 12 | 10 | 0 | 2 | 23-8 | 30 |
| 4.ინტერი | 12 | 9 | 3 | 0 | 23-9 | 30 |
| 5.ლაციო | 12 | 9 | 1 | 2 | 32-14 | 28 |
| 6.სამპდორია | 11 | 7 | 2 | 2 | 24-13 | 23 |
| 7.მილანი | 13 | 6 | 1 | 6 | 19-18 | 19 |
| 8.ტორინო | 12 | 4 | 5 | 3 | 17-19 | 17 |
| 9.ფიორენტინა | 12 | 5 | 1 | 6 | 21-17 | 16 |
| 10.ატალანტა | 12 | 4 | 4 | 4 | 19-16 | 16 |
| 11.კიევო | 12 | 4 | 4 | 4 | 14-19 | 16 |
| 12.ბოლონია | 12 | 4 | 2 | 6 | 11-15 | 14 |
| 13.უდინეზე | 11 | 4 | 0 | 7 | 18-22 | 12 |
| 14.კალიარი | 12 | 4 | 0 | 8 | 11-21 | 12 |
| 15.კროტონე | 12 | 3 | 3 | 6 | 11-23 | 12 |
| 16.სპალი | 12 | 2 | 3 | 7 | 10-20 | 9 |
| 17.სასუოლო | 12 | 2 | 2 | 8 | 6-21 | 8 |
| 18.ჯენოა | 12 | 1 | 3 | 8 | 10-19 | 6 |
| 19.ვერონა | 12 | 1 | 3 | 8 | 8-26 | 6 |
| 20.ბენევენტო | 12 | 0 | 0 | 12 | 5-31 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-სპეცია .................................. 1:1
ვირტუსი-ვენეცია ............................ 0:0
ნოვარა-ბარი ................................... 1:2
პარმა-ასკოლი .................................. 4:0
პერუჯა-კარპი .................................. 5:0
პესკარა-პრო ვერჩელი ..................... 3:1
ფოჯა-ტერნანა ................................. 1:1
ემპოლი-ჩეზენა ................................ 5:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ნანტი ....................................... 4:1
დიჟონი-ტრუა .................................. 3:1
გენგამი-ანჟე ................................... 1:1
სტრასბური-რენი ............................. 2:1
ტულუზა-მეცი .................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 43-9 | 35 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 35-13 | 29 |
| 3.ლიონი | 12 | 7 | 4 | 1 | 32-15 | 25 |
| 4.მარსელი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-17 | 24 |
| 5.ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 12-13 | 23 |
| 6.სტ.ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-18 | 18 |
| 7.კაენი | 12 | 6 | 0 | 6 | 8-13 | 18 |
| 8.მონპელიე | 12 | 4 | 4 | 4 | 9-8 | 16 |
| 9.ბორდო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-18 | 16 |
| 10.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 16 |
| 11.რენი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-17 | 15 |
| 12.დიჟონი | 13 | 4 | 3 | 6 | 17-22 | 15 |
| 13.ტრუა | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 14.გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-22 | 15 |
| 15.ანჟე | 13 | 2 | 8 | 3 | 17-20 | 14 |
| 16.ნიცა | 12 | 4 | 1 | 7 | 14-19 | 13 |
| 17.სტრასბური | 13 | 3 | 4 | 6 | 15-24 | 13 |
| 18.ლილი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| 19.ამიენი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-14 | 12 |
| 20.მეცი | 13 | 1 | 1 | 11 | 5-24 | 4 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-ბრესტი ............................ 4:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტვენტე-ჰერენვენი ........................... 0:4
ფეინოორდი-ვენლო .......................... 1:1
ტილბურგი-სპარტა .......................... 2:2
ბრედა-აიაქსი .................................. 0:8

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სკა ენერგია-ცსკა ............................ 2:4
დინამო-ახმატი ................................ 1:1
კრასნოდარი-სპარტაკი ..................... 1:4
არსენალი-რუბინი ............................ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სიონი ................................. 5:1
სტ.გალენი-ლუგანო ......................... 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სელტიკი ................................ 0:1
აბერდინი-მოზერველი ...................... 0:2
რეინჯერსი-ჰამილტონი .................... 0:2
დანდი-კილმანროკი ......................... 0:0
ჰიბერნიანი-სტ.ჯონსონი .................. 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-რაპიდი ............................ 1:2
აუსტრია-ადმირა ............................. 2:3
მატერსბურგი-ალტახი ...................... 1:0
სტ.პოლენი-ვოლფსბერგერი .............. 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-ანდერლეხტი .................... 1:2
კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი ................ 3:2
ეუპენი-ანტვერპენი ......................... 0:1
სტანდარდი-ოსტენდე ....................... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-კერკირა ............................... 1:1
ლარისა-აპოლონი ........................... 1:0
ოლიმპიაკოსი-ლევადიაკოსი ............. 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-გიოზთეფე ............................ 0:0
ქონია-ანთალია ............................... 1:1
ბაშაქშეჰირი-გალათასარაი ............... 5:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბრნო-ტეპლიცე ............................... 1:0
სიგმა-ზლინი .................................... 2:0
ლიბერეცი-ბანიკი ............................ 2:1
სლავია-დუკლა ................................ 5:0
სლოვაცკო-პლზენი .......................... 1:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-კრაკოვია ............................ 1:0
სანდეცია-ლეხი ............................... 0:0
ლეხია-პლოცკი ................................ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-ვერესი ................................. 1:1
ზვეზდა-დინამო ............................... 0:2
კარპატი-მარიუპოლი ....................... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-სილკებორგი ....................... 3:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# უელსელები ქართულ შერკინებას ეშმაკობით გამოუქვრნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მრისხანე მეტოქემ ბორჯღალოსნებს გაუძლეს და 13:6 იმარჯვეს.

განითლებულ დროზე მასპინძლებმა ბურჯი ტომას ფრენსისი ყვითელი ბარათით დაკარგეს. ამ დროს მათ თამაშში შეცვლილი ბურჯი უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ უესელებმა, რომლებიც ქართველებს შერკინებაში ვერ უძლებდნენ, ტრავმის მომიზეზებით ბურჯი თამაშში აღარ დააბრუნეს, რის გამოც შერკინების უპირატესობა ხელიდან გამოგვეცალა, რადგან ამ შემთხვევაში ეგრეთ წოდებული „ცრუ შერკინება“ ინიშნება. ამ დროს კი მიწოლა არ ხდება, რის გამოც ჩვენებს აუტში ბურთის გადატანა მოუწიათ. ქართველებმა დერეფანი კი მოიგეს, მაგრამ რამდენიმე ფაზის შემდეგ თავად დაჯარიმდნენ და მატჩიც მორჩა.

ის ფაქტიც, რომ მატჩის სანახავად ტრიბუნებზე 55.000 გულშემატკივარი შეიკრიბა, ქართული რაგბის კიდევ ერთი დიდი დაფასებაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეტოქე უპირატესობას ფლობდა ბურთის სწრაფად გათამაშებისას – უელსელები დერეფნიდან თუ ჯარიმიდან თამაშს სწრაფად ანახლებდნენ და მათი შეჩერება ჭირდა. გარდა ამისა, ისინი სახიფათონი იყვნენ ფეხით თამაშის შემდეგ, როდესაც ხაზი დაწყობას ვერ ასწრებდა. აქტიურობდნენ რაქებში და მთლიანობაში, ძალიან კარგად ითამაშეს დაცვაში.

თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო და რამდენჯერმე მოგვიწია ხიფათის განეიტრალება. რის პრისთლენდმა ჯარიმით ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა, ორიოდე წუთში ალექს ქასბერთიმ გაგვიჭრა ხაზი და ლელოსგან ვასილ ლობჟანიძის თავგანწირვამ გვიხსნა, რომელმაც შემტევს ლელოში ბურთის დამიწების საშუალება არ მისცა. ამას გიორგი კოშაძის კარგი ბოჭვა და ლაშა ლომიძის თერნოვერი მოჰყვა, მაგრამ გამუდმებით დაცვაში ყოფნა ურთულესია და 21-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი ლელო გავიდა: მეტოქემ დერეფნიდან გაშალა შეტევა და 4 პასის შემდეგ დაუცველ ლელოში ჰალამ ეიმოსი შევიდა, ხოლო პრისთლენდმა გარდასახა.

ბორჯღალოსნებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და ფორვარდების დარტყმის შემდეგ მარცხენა ფლანგზე ფეხით ლაშა ხმალაძემ ჩაკიდა, სადაც მირიან მოდებაძემ მცველს დაასწრო, თუმცა წამის მეასედი დაკარგა და შეტევა აღარ გამოვიდა. ამას ჩვენების ბურთის დაკარგვა და ეიმოსის გაქცევა მოჰყვა, თუმცა რეფერიმ ეპიზოდი გადაამოწმა და წინთამაში დააფიქსირა. შერკინებას ჯარიმა და სოსო მათიაშვილის ზუსტი გასროლა მოყვა. ტაიმის დასკვნითი წუთები იმედისმომცემი იყო. მოდებაძის დაწყებული იერიში დავით კაჭარავამ და კოშაძემ გააგრძელეს, მაგრამ ფეხით გადაკიდებულს მოდებაძემ ვერ მიუსწრო – 10:3.

მეორე ტაიმი ბორჯღალოსნების აქტიურობით დაიწყო და ამან შედეგი 50-ე წუთზე მოიტანა – მათიაშვილმა 40 მეტრიდან გატანილი ჯარიმით სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა. აქ უელსელ მორაგბეებს, მწვრთნელებს და ქომაგებს დაძაბულობა დაეტყოთ და ტაიმის შუაში პრისთლენდის მიერ გატანილი ჯარიმი მათთვის ერთგვარი შვება იყო, თუმცა ჯერ ყველაფერი წინ ჰქონდათ.

თამამად მოთამაშე ბორჯღალოსნებმა იგრძნეს, რომ შეიძლებოდა, შეცვლაზე შესული მორაგბეებიც კარგად ჩაერთვნენ და კარის წინ ჯარიმის შესრულების უფლებაც რამდენჯერმე მივიღეთ, მაგრამ ჯერ მოლი და მერე შერკინებები ვირჩიეთ. სტადიონი სინბინისა და საჯარიმო ლელოს მოლოდინში იყვნენ, მაგრამ მესამე ჯერზე მეტოქემ თავად გამოიმუშავა ჯარიმა და სიტუაცია განმუხტა.

ბორჯღალოსნები არ დანებდნენ და 20-ფაზიანი შეტევის შემდეგ კიდევ ერთი ჯარიმა მიიღეს. უელსი ამჯერადაც გადარჩა, მაგრამ დავით კაჭარავამ რაქში საუცხოოდ ითამაშა და ბოლო შეტევა კვლავ ქართველების იყო. აი აქ იყო მეტოქე ბურჯის სინბინი და შერკინებაში მიწოლის აკრძალვა, რის შემდეგაც ბურთი აუტში გავიტანეთ, მორკინალების მე-11 მიძალებისას კარის წინ ორიოდე მეტრში დავჯარიმდით და უელსმა შვებით ამოისუნთქა, საქართველომ კი, მსოფლიო კიდევ ერთხელ აალაპარაკა.

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– რა თქმა უნდა, ეს შედეგი გულდასაწყვეტია. სულ რამდენიმე ქულა დაგვაკლდა, მაგრამ რაც არის, არის. ახლა ისლა დაგვრჩენია მომხდარს სწორი შეფასება მივცეთ. რაც შეეხება ბოლო წუთების მოვლენებს, არ ვაპირებთ, რომ ამას მსვლელობა მივცეთ. თავი ძალიან კარგად დავიცავით და შეტევაშიც კარგები ვიყავით, შერკინებაში ჩვენი დომინირება სიახლე არავისთვისაა, ბოლო წუთებში შეგვეძლო შედეგისთვის მიგვეღწია. შარშან შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, ჩვენი თამაშის ხარისხი აშკარად გამოსწორებულია. ეს იყო მაღალი ტემპის შეხვედრა და ჩვენ ამ ტემპს ალღო სწრაფად ავუღეთ, რითიც კმაყოფილი ვარ. რაც უფრო მეტი ასეთი დონის შეხვედრა გვექნება, ჩვენი შედეგები მით უფრო გაუმჯობესდება. თუ მოგვეცემა უკეთესი თამაშები, ჩვენც უკეთეს რაგბს ვითამაშებთ. ეს შემდგომი ფურცელია და წესით ასეც უნდა გაგრძელდეს. ქომაგებს, მთელს ქვეყანას ვაჩვენეთ, რომ ასეთ ტემპში თამაში შეგვიძლია. ეს მათ ჩვენით სიამაყის კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს. მერწმუნეთ, ჩვენს სამშობლოში ახლა ყველა ბედნიერი და ამაყია. შედეგით რა თქმა უნდა უკმაყოფილო ვართ, მაგრამ ბიჭებმა სული და გული ჩადეს ამ თამაშში და გაიღეს ყველაფერი, რათა სამშობლოში მათით იამაყონ.

**უორენ გეთლენდი, უელის ნაკრების მწვრთნელი:**

– ჩვენც უხერხულად ვიგრძენით თავი. ლიონ ბრაუნი ტაქტიკური მოსაზრებით შევცვალეთ, თუმცა ვიცოდით, რომ მას პრობლემები ქონდა. ყვითელი ბარათის შემდეგ, მისი დაბრუნება ექიმმა აგვიკრძალა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მხრიდან მანიპულაციას ადგილი არ ჰქონია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

### ნიანგმა მალაიზიელი მუშა შეჭამა

მალაიზიის საბახის შტატში მაშველებმა მუშის ნარჩენებს მიაგნეს, რომელიც ნიანგმა შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ის რამდენიმე დღის წინ დაიკარგა, თევზსაჭერი ბადეების დასაგებად წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ მას თავს ნიანგი დაესხა.

მეხანძრეები მანქანებითა და მაშველები ნავებით ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ დაკარგულ მუშას და საბოლოოდ მისი ნაწილები თავდასხმის შესაძლო ადგილიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით, მდინარის პირას აღმოაჩინეს.

ოფიციალური მონაცემებით, 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ნიანგების თავდასხმის მსხვერპლი 27 მალაიზიელი გახდა.

### პარიზში ნუდისტების რესტორანი გაიხსნა

პარიზის მე-12 ოლქში, გრავეის ქუჩაზე, საფრანგეთში პირველი რესტორანი გაიხსნა ნუდისტებისთვის.

რესტორანში სადილობის მსურველებმა შესასვლელში მთელი ტანსაცმელი უნდა გაიხადონ და გარდერობში დატოვონ. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ, მშვიდად ისადილონ. რესტორანს ქუჩის მხარეს არ აქვს ფანჯრები, ამიტომ, მენეჯერების მტკიცე-



ბით, ის არაფრით ემუქრება ადგილობრივი მცხოვრებლების თავმოყვარეობას.

რესტორანი 40 სტუმარზეა გათვლილი. შესვლის ფასი 30 ევროა. დაწესებულების გახსნაზე პარიზის ნატურისტების ასოციაციის წევრები იყვნენ მიწვეული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სკანვორდი




1. პატარა სარწყავი არხი; 2. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 3. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 4. ... ფეროუ; 5. ქალაქი სვანეთში; 6. ... კლინტონი; 7. ნელა, დინჯად (მუს.); 8. გრძელი საბჯენი ჯოხი (ძვ.); 9. ნარკოტიკის მისაღები ტროპიკული ბუჩქი; 10. იუპიტერის თანამგზავრი; 11. რისამე საგანგებო ნარევი; 12. დიდი ზომის მხატვრული ნაწარმოები; 13. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 14. რიგი დოკუმენტების აღმნუსხველი დაწესებულება; 15. ხეთების ქალღმერთი; 16. უმანი თბილისში; 17. მაგარი, ცხელი სასმელი; 18. დიდება! (შეძახილი ეკლესიაში); 19. კლოუნის ნომერი ცირკში; 20. კუნტის შაქარი; 21. ... ტაიმანოვი; 22. რიხარდ ... (საბჭოთა მზვერავი); 23. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 24. ბერძნული ანბანის ასო; 25. ოთხიანი ნარდში; 26. ტიბეტური ხარი; 27. კოლხი მედეას დედა; 28. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 29. ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოები; 30. კორეული ავტომობილი; 31. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა რაიმე ზედაპირიდან.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფელდიგიერი; 2. რუდაქი; 3. რენუარი; 4. რიეკა; 5. ბისმარკი; 6. „ჰერში“; 7. ბიშკეკი; 9. „ბოლერო“; 13. ვერნი; 17. გემა; 18. ობი.

**თარაზულად:** 1. ფლაიერი; 3. რიგელი; 8. ფიშერი; 10. სამსუნი; 11. ციკლი; 12. „გალუაზი“; 14. გიურზა; 15. „შპიგელი“; 16. კეგლი; 19. ჯუნგლი; 20. ქირურგი; 21. ქაჯაია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეტრა; 2. „ასაჰი“; 3. ჰონვედი; 4. ყავა; 5. მასა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. ფრიკადელი; 11. პორტოფინო; 14. ხომლი; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. კარე; 24. ოდიში; 25. ოტავა; 26. წოტი.

**თარაზულად:** 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტევრი; 13. „პორტო“; 15. მანგო; 17. „მაჟესტიკი“; 19. ნიყვი; 21. ვისლა; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

## კალეიდოსკოპი

### ჩიკაგოში აღმოჩენილი უცნაური ცხოველი მუტანტი აღმოჩნდა

უცნაური ცხოველი, რომელიც ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მცხოვრებლებმა შენიშნეს, იშვიათი გენეტიკური მუტაციის მქონე მელა აღმოჩნდა.



თეთრი ფერის ბეწვის მქონე ცხოველის თაობაზე ინფორმაცია რამდენიმე კვირის განმავლობაში ვრცელდებოდა და ის ჩიკაგოს ცხოველთა კონტროლის სამმართველოს მიეწოდებოდა. თვითმხილველები ფიქრობდნენ, რომ ცხოველი კოიოტი ან უპატრონო ძაღლი იყო.

სინამდვილეში ის ხუთი თვის მელა აღმოჩნდა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ რაიონში გამოჩნდა. ის გაექცა თავის პატრონს, რომელსაც მელა ეგზოტიკური ცხოველის სახით ჰყავდა. მისი უჩვეულო შეფერილობა აიხსნება ლეიკიზმით – უიშვიათესი მუტაციით, რომლის დროსაც ცხოველი ნაწილობრივ კარგავს გარე საფარის პიგმენტაციას.

### ამერიკელმა ერთ დღეში ჯეკპოტი ორჯერ მოიგო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა მიშელ შუფლერმა ერთ დღეში ორი ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ მილიონ დოლარს გადააჭარბა.

იღბლიანი ქალბატონის თქმით, პირველი ბილეთი მან ნაუცბათევად შეიძინა.

– ჩემს ქმარს ცოტა ნაღდი ფული ჰქონდა და ბილეთის შეძენა ბოლო მომენტში გადაწყვიტა, – განაცხადა შუფლერმა. ბილეთზე დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ




ქალმა აღმოაჩინა, რომ ათი ათასი დოლარი მოიგო.

რამდენიმე საათის შემდეგ შუფლერმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, კიდევ ერთი ლატარიის ბილეთი შეეძინათ, მხოლოდ უკვე სხვა ჯიხურში. წარმატება მათ აქაც ელოდათ. მეორე მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა. თავად იღბლიანმა ქალბატონმა მომხდარს სასწაული უწოდა.

### კენიის ხელისუფლებამ ლომების ჰომოსექსუალიზაცია ბრალად დამთვალიერებლებს დასდო



კენიის ფილმების კლასიფიკაციის საბჭოს ხელმძღვანელი, დოქტორი იეზეკილ მუტუა მიიჩნევს, რომ შესაძლოა ეროვნული ნაკრძალის „მასაი-მარას“ დამთვალიერებლებმა ასწავლეს ლომებს ერთსქესიანთა შეჯვარება. ამის თაობაზე კენიელმა ჩინოსანმა ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემასთან ინტერვიუში ისაუბრა.

მუტუას უკმაყოფილება გამოიწვია ბრიტანელი ფოტოგრაფის პოლ გოლდშტეინის მიერ გადაღებულმა ფოტომ, რომელმაც ის მომენტი დააფიქსირა, როდესაც ერთი მამალი ლომი მეორეზე იყო შემჯდარი.

კენიელი ჩინოსნის აზრით, ცხოველები შესაძლოა გეების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, რომლებიც ეროვნულ ნაკრძალში იმყოფებოდნენ და ცუდად იქცეოდნენ.

მუტუას თქმით, ჰომოსექსუალიზმს დემონების ზეგავლენა განაპირობებს, რომელმაც ახლა უკვე „ცხოველებამდეც მიაღწია“.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი 20 ნოემბერი



**ვერძი** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღება გმართებთ. თავი შეიკავეთ კომერციული ოპერაციებისაგან. **კურო** – იღბლიანი დღეა. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეებს ნუ დააგროვებთ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პატარა პრობლემებია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც მსუბუქი დეპრესიის მიზეზი გახდება. დაკავდით თვითანალიზით. **ლომი** – შესაფერისი დღეა სამსახურის შესაცვლელად. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისათვის. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. **სასწორი** – კონფლიქტური დღეა. თქვენი პრობლემები მეგობრებს გაუზიარეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ. მთავარია მიზანდასახულობა და პასუხისმგებლობა. **მშვილდოსანი** – თქვენი პირდაპირობის გამო შესაძლოა პარტნიორებთან უთანხმოება გქონდეთ. იყავით უკომპრომისო. **თხის რქა** – სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი რიგზე გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **მერწყული** – ნეგატიური დღეა. თავი შეიკავეთ კოლექტიური საქმიანობისაგან. იზრუნეთ სულიერებაზე. **თევზები** – თუ საკუთარ თავზე იმუშავებთ და ცოდნას გაიღრმავებთ, წარმატება არ დააყოვნებს. ოჯახის წევრებს თქვენი ყურადღება აკლიათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ქართველ შემსრულებლად დაასახელეს



მომღერალი სოფო ნიჟარაძე გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გამართულ ბამას მუსიკალურ დაჯილდოებაზე სპეციალური პრიზით დაასაჩუქრეს.

აზიური ქვეყნების დაჯილდოებაზე, სადაც ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ, სოფო ნიჟარაძემ საუკეთესო ქართველი შემსრულებლის ტიტული მოიპოვა.

მუსიკალურ დაჯილდოებაზე სოფო ნიჟარაძე თავის პროდიუსერ სტეფანე მღებრიშვილთან ერთად ჩავიდა. კონკურსში საქართველო პირველად მონაწილეობდა და პირველივე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა.

სოფო ნიჟარაძემ გერმანიიდან სოციალურ ქსელში თავისი გულშემატკივრებისთვის ჩართვაც გააკეთა და მათ აქტიური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

– დიდი მადლობა ჩემს მხარდამჭერებს, რომლებიც ხმას გვაძლევდნენ და მხარს მიჭერდნენ დიდი ხნის განმავლობაში.

25 ნოემბერს სოფო ნიჟარაძე მონატრებულ ქართველ მსმენელს ბუდა ბარში შეხვდება, სადაც საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო ნაწარმოებებს შეასრულებს.

## „ნიჭიერის“ ნახევარფინალები იწყება

20 ნოემბრიდან „ნიჭიერის“ ნახევარფინალები იწყება.

სახალხო პროექტის ჟიურიმ: სტეფანე მღებრიშვილმა, რუსკა მაყაშვილმა, მაკა ჩიჩუამ და გიორგი ბახუტაშვილმა პროექტში მონაწილე კონკურსანტებიდან ნახევარფინალისტები შეარჩიეს და მათ გამარჯვებისკენ გზა დაულოცეს.

პირველ ნახევარფინალში მაყურებლის წინაშე 8 ნახევარფინალისტი გამოვა. ჟიურისა და საზოგადოების წინაშე წარდგებიან „წეროები“ – პატარა მოცეკვავეები წეროვანიდან, არაჩვეულებრივი მომღერალი კახაბერ ჭუმბურიძე, იგორი და ტატიანა, სეზონის ყველაზე ექსტრემალური და საშიში ნომრის შემსრულებლები, თბილისის ინკლუზიური საცეკვაო დასი, რომელიც კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, მომღერალი პაატა თავდგირიძე, მოცეკვავე აკაკი აფხაძე, ექსპერიმენტორიუმი და გიორგი, რომლის ახალი ნომერიც მაყურებელს ქიმიას უფრო შეაყვარებს და პატარა მოცეკვავე ნინი, რომლის ცეკვასაც „შიმიშიმი“ იუთუბზე მილიონნახევარზე მეტი ნახვა აქვს.

## 26 მაისის მემორიალი დაამტვრიეს



თავისუფლების მოედანზე განთავსებული 26 მაისის მემორიალი დაამტვრიეს. ფილა ისეა დაზიანებული, რომ მასზე არსებული წარწერის ამოკითხვა შეუძლებელია.

დაზიანებული მემორიალის ფოტო მსახიობმა გიორგი კალანდაძემ გაავრცელა და თბილისის მერიას მისი შეკეთებისკენ მოუწოდა:

– დაზიანების გამო მხოლოდ 26 მაისი შეიძლება ამოიკითხო. აქედან 10 მეტრში ჰ&მ-ის რიგში ხალხი თავ-პირს ილეწავს. თბილისის მერია – შეაკეთეთ.

## დევიდ ლინჩი საქართველოშია



მსოფლიო კინოს ლეგენდა, რეჟისორი, მწერალი და პროდიუსერი დევიდ ლინჩი საქართველოშია. რეჟისორთან ერთად თბილისში მისი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბობ როტიც ჩამოვიდა.

ორგანიზატორების განცხადებით, დევიდ ლინჩსა და მის გუნდს საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა.

– გავიცნობ თქვენს ქვეყანას. პირველად ვიმყოფები საქართველოში, გაიმართება შეხვედრები და საჯარო ლექცია. აქ იმისთვის ვარ, რომ კავკასიის რეგიონში ჩვენი ფონდის სამომავლო მიზნებზე ვისაუბროთ. ეს არის ტრანსცენდენტული მედიტაციის გზით ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენა, რათა მათი ტანჯვა დასრულდეს და თავი ბედნიერად იგრძნონ. სწორედ ეს არის ჩვენი ფონდის მთავარი მიზანი, – განუცხადა ჟურნალისტებს დევიდ ლინჩმა.

## გალაკტიონის სახლ-მუზეუმში ჩინოვნიკებმა ღრეობა გამართეს

17 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის 126-ე დაბადების დღე აღინიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით დამთვალიერებელი ეწვია როგორც თბილისში, ასევე ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში არსებულ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმს.

მარიტა ტყეშელაშვილი ჭყვიშში ქუთაისიდან თანამშრომლებთან ერთად ჩავიდა და იქ ჩინოვნიკების ღრეობის მოწმე გახდა:

– ბევრი დრო რომ არ წაგართვათ, მოკლედ ვიტყვი იმის შესახებ, რაც დღეს ვნახე ჭყვიშში – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში.

ქუთაისიდან მე და ჩემი თანამშრომლები იმ ემოციით წავედით, რომ პატივი გვეცა პოეტისთვის და მისი უზარმაზარი ღირებულების მქონე შემოქმედებისთვის, იქიდან კი გაბრაზებულები და შეურაცხყოფილები წამოვედით, რადგან სახლ-მუზეუმში დაგვხვდა ღრეობა და ეს ღრეობა ხდებოდა არა ეზოში ან თუნდაც მუზეუმის სხვა მემორიალურ ნაწილში, არამედ სწორედ გალაკტიონის 100-ზე მეტი წლის ხის იმერულ ოდაში.

ამ ღრეობის მონაწილეები კი გახლდნენ მიწვეული ჩინოვნიკები, კულტურის მუშაკები. ჩვენც უნებურად შევესწარით ამ ამბავს, თუმცა დაცვა საერთოდ არ აპირებდა ჩვენს შეშვებას, მაგრამ როგორღაც შევედით და ასეთი სურათი დაგვხვდა: ოდაში ე.წ. შუა ცეცხლი ჰქონდათ გაჩაღებული, ვაზუსტებ: იყო ნაკვერჩხლები, არ იყო ცეცხლის ალი. ჯაჭვზე თუჯი და გაშლილი იყო ტაბლა, დატვირთული ხორაგით. მიწვეული სტუმრები სვამდნენ, ჭამდნენ და ზოგიერთი ნაგავს უკანა კარიდანაც კი ისროდა. „კულტურულ“ ნაწილზე არაფერს ვიტყვი, სიმღერა, დოლ-გარმონი და ჩოხოსნები. რომელიღაც დამსახურებულმა მსახიობმა რამდენიმე ჭიქის მირთმევის შემდეგ თქვა, რომ ახლა იგრძნო, თუ სად იყო.

ამ ღონისძიების არც ისე პატივსაცემი სტუმრები, მოსწავლეები და პედაგოგები ეზოდან ადევნებდნენ თვალს ამ ღრეობას. ყველას ვერ ერგო ამ დღეს პოეტის მუზეუმის დათვალიერების პატივი.

ვწერ ამ პოსტს იმიტომ, რომ რეაგირება მოჰყვეს.

რა გახდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მხოლოდ საჭირო განათლების მქონე კომპეტენტური პირები...



ვწერ იმიტომ, რომ მარტო კი არ შემრცხვა, გავბრაზდი და გავცეცხლდი, რომ მსგავსი რამე ხდება ასე უტიფრად და უტეხად! და ვწერ იმიტომ, რომ ასეთ რაღაცაზე თვალის დახუჭვა არის დანაშაული!

ვიკითხე ორგანიზატორები, ხელმძღვანელები და ვკითხე ქალს, რომელიც გამეცნო მუზეუმის ხელმძღვანელად, თუ რატომ იყო ასეთი კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილზე ასეთი ღრეობა, ვუთხარი, რომ კანონით ამის გაკეთება დანაშაულია, რადგან სამუზეუმო ექსპონატების ყოფითი თვალსაზრისით გამოყენება დაუშვებელია, რაზეც მიპასუხა, რომ ეს იყო პოეტის პატივსაცემად გაკეთებული სუფრა, რომელიც მან გაშალა, რასაც ესწრებოდნენ სხვა პოეტებიც და ასე ვუშლი მინისტრსაც სუფრას, როცა ჩამოდისო.

საბოლოოდ კი ვწერ იმიტომ, რომ თუ ვინმეს რამე პასუხისმგებლობა აქვს ამ ქვეყანაში და საერთოდ ვინმეს აღელვებს, ის რომ კულტურული ძეგლები, პოეტების სახლები და მუზეუმები მოსავლელი და გასაფრთხილებელია და რომ პატივი უნდა ვცეთ და მოვექცეთ, როგორც ისტორიისა და მომავლის კუთვნილებას, როგორც ქვეყნის სიმდიდრეს, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს ეს ამბავი!

## „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ თაზო გარსიძემ დატოვა

მუსიკალური შოუ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ ყოველ კვირას თითო კონკურსანტს ემშვიდობება. მეოთხე კონცერტი მომღერალმა თაზო გარსიძემ დატოვა.

შესული ხმებით ყველაზე ცოტა პროცენტი თაზო გარსიძემ და თათული ჩიხლაძემ დააგროვეს. საბოლოოდ კი პროექტს მიღმა თაზო აღმოჩნდა.

მეოთხე კონცერტის ლიდერი ლუკა გოგობერიძე გახდა. მანამდე ლიდერობას არავის უთმობდა მანანიკო ცენტერაძე. მეოთხე კონცერტზე კი მანანიკომ მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

## ქართული კულტურით გერმანულ-ფრანგული არხი „არტე“ დაინტერესდა

გერმანულ-ფრანგულმა არხმა „არტე“, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კულტურით აქტიურად ინტერესდება, ქართული კულტურის შესახებ გადაცემა მოამზადა. არხის სპეციალურ სერიაში „მეტროპოლის“ წარმოდგენილ მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქებს შორის თბილისი და მისი კულტურული ცხოვრება მოხვდა.

ამ სერიის უახლესი გადაცემა თბილისს მიეძღვნა და მაყურებელს შესთავაზა ჩვენი დედაქალაქის კულტურული სცენა და საზოგადოება. თბილისური კულტურის და საზოგადოების შესახებ არტისტმა ვატო წერეთელმა და ნაჯა ორაშვილმა ისაუბრეს.

სიუჟეტში ნაჩვენებია თბილისის მრავალფეროვნება და მის წინაშე არსებული გამოწვევები, ასევე ისტორიული გავლენები, მათ შორის, მაგალითად, გერმანელი კოლონისტების მემკვიდრეობა საქართველოში.

## ლაშა ჩხარტიშვილი თეატრალური საზოგადოების წინააღმდეგ



სულ მალე საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში არჩევნები ჩატარდება, სადაც თეატრის მოღვაწეები საკუთარ არჩევანს გააკეთებენ.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ თეატრალურ საზოგადოებაში თითხნიან დოკუმენტებს და მაქინაციებს.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– დღე-დღეზე ქართული თეატრის მოღვაწეები არჩევანს გააკეთებენ, არ ვიცი როგორს, ერთი კი ვიცი, რომ „საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას“ სერიოზული განახლება და გაცოცხლება სჭირდება.

ამ ორგანიზაციის წევრები მე და ნერონ აბულაძე 2002 წელს ვასილ კიკნაძის და ნოდარ გურაბანიძის რეკომენდაციით გავხდით, მაშინ როცა თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე იყო.

ახლა ამ სოროს ერთი ვირთხა მეუბნება, რომ წევრი არ ვარ. იმ დროს სმარტფონი არ იყო, თორე ასლს ხო გადავიღებდი. მტკიცებას აზრი არ აქვს, რადგან აქ ტრადიციულად თითხნიან დოკუმენტებს და არიან მაქინაციებში.

მოკლედ, არჩევნებში მონაწილეობას ვერ ვიღებ, მაგრამ ვინც მიიღებთ, გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ცვლილებებს. ერთ-ერთი კანდიდატი უკვე ორჯერ შანსმიცემულია და აღარ მინდა მუდმივი „ექსპერიმენტები“.

აბა თქვენ იცით! თუ შეცდომას დაუშვებთ, მერე არ გავიგონო თქვენი წუწუნი. გაქვს შანსი შეცვალო? ხოდა, შეცვალე იმ ორგანიზაციაში სიტუაცია, რომელიც თავად იქ მომუშავეებსაც არ მოსწონთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ამერიკელმა მოსწავლემ მანქანა გაიტაცა და ეკლესია გადაწვა



ამერიკის ლუიზიანის შტატში 15 წლის მოზარდმა სატვირთო ავტომობილი გაიტაცა, მისი ავზიდან ბენზინი გადმოასხა და წმინდა პავლეს ბაპტისტურ ეკლესიას ცეცხლი წაუკიდა.

ინციდენტი ქალაქ რიჩლანდში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაიწვა არა ძირითადი შენობა, არამედ ახალი, რამდენიმე თვის წინ აშენებული ნაგებობა. ადგილობრივ შერიფს ხანძრის შესახებ თვითმხილველებმა აცნობეს. მათ ასევე განაცხადეს, რომ მანამდე შენიშნეს სატვირთო ავტომობილი, რომლის საჭესთან მოზარდი იჯდა.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა კომპანიამ მანქანის გადაადგილების დაფიქსირება მოახერხა. საბოლოოდ ავტომობილი მეზობლად მდებარე კოლდუელში, ეკლესიის მახლობლად დააკავეს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოზარდს კავშირი აქვს ამ ფირმის კიდევ ერთი სატვირთო ავტომობილის გატაცებასთან. მოზარდი დაკავებულია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## პროგრამა

ოთხშაბათი
20 ნოემბერი

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00, 01.45** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე **13.25, 22.15** ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** **14.30** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30, 06.30** დოკ/ფ "ამერიკის ხელოვნება" **16.30** ტ/სერ. **"ველვეტი"** **18.30** საბავშვო ევროვიზიის გახსნის ცერემონიალი - კენჭისყრა **20.00, 02.45** ტ/სერ. **"ელემენტარული"** **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **23.35** მხ/ფ **"პირველი რაინდი"** (რ.გირი) **03.45** მხ/ფ **"ჯანგო თავისუფალია"** (ლ.დიკაპრიო)

**06.30, 16.00** სერ. **"ტყუილი"** **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ქალაქის გული"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"დედა"** **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ **"კარგი ბიჭები"** **02.30** მხ/ფ **"ძარცვა ბეიკერ სტრიტზე"** **04.35** მხ/ფ **"სასიკვდილო დარტყმა"**

**06.00, 18.50** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **07.00, 20.03** სერ. **"დედამთილი"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"მზიანი დღეები"** **16.55** სერ. **"ზზარი"** **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. **"რამონზე შეყვარებული"** **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **22.30** საქმის კურსი **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ **"ვარსკვლავური ომები 2"** **09.00** სერ. **"შავი კოდი 2"** 1-2 სერ. **11.00** მხ/ფ **"ტალღებას ღამეები"** **13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები 5"** **17.00** სერ. **"სამხედროების ცოლები-4"** **19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-5"** **20.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-6"** **21.00** სერ. **"ლურჯის ელფერი"** **22.00** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი"** **00.10** მხ/ფ **"საგანგებო ექსტრადიცია"** **02.20** მხ/ფ **"სამი მეფე"** **04.20** მხ/ფ **"უტეხი"** **06.20** მხ/ფ **"ცეცხლი და ყინული"**

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფრონზი" **09.00** სერ. **"ბანდოლერა"** **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. **"გაქცეულები"** **22.00** სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ **" თვის გმირი"** **3.40** ცენზურის გარეშე

**06.15** ივერიის ეკლესია-"ივერონის მემკვიდრეობა" **06.50** პატერიკი-"დაფარული მცნობელობის შესახებ" **06.55** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ველური სელაპის გაზაფხული" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან **10.35** მიწათმოქმედი "მორწყვა" **10.50** დ/ფ "სათავეებთანიაკობ გოგებაშვილი" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ლესი"** **13.40** ან/ფ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** სპექტაკლი **"ეზოში ავი ძაღლია"** **18.05** გზა, რომლითაც ვიარე "მიხეილ ჯავახიშვილი" **18.35** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** კარაბადინი "პედიატრია" **20.00** საქართველო ევროპულ ოჯახში-"სასულიერო კულტურა" **20.40** ძილი ნებისა "ხუთკუნჭულა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-"ხატის მიერ მოხდენილი სასწაული" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საბერძნეთი-"მარტვილური ესტაფეტა-გარეჯელი და ატიკელი მოწამეები" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" XII ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** აქტუალური თემა "თამბაქო" **23.45** ღვთის სახლი "ანაკლია-ახალი ათონი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საუბრები სტუდიაში "გია მაჩაბელი, ანდრია როგავა" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7268

ევრო — 3.2176

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6097

100 რუსული რუბლი — 4.5750

## ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისთვის




## 14 ნოემბრიდან

# უცხოეთში დაკარგული ქართველები




ბედის უკუღმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 16 ნოემბრიდან




რომან გვენცაძის

# საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## მის მსოფლიო ინდოელი გახდა



ჩინეთში დასრულდა სილამაზის კონკურსი „მის მსოფლიო 2017“. დედოფლის გვირგვინის მფლობელი 20 წლის ინდოელი მანუში ჩხილარი გახდა. ეს ინფორმაცია კონკურსის ფეისბუქის გვერდზეა გამოქვეყნებული.

კონკურსში მეორე ადგილი მექსიკელმა ანდრეა მეზამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ინგლისელი სტეფანი ჰილი გავიდა.

ჩხილარი სამედიცინო კოლეჯში სწავლობს, გატაცებულია ცეკვებითა და თეატრით. მას საკუთარი აკაუნტი აქვს ინსტაგრამში, რომელსაც 180 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## ამერიკაში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ღვინო გაიყიდა



ამერიკის ახალი ორლეანის შტატში გამართულ აუქციონზე ბოთლი ღვინო 350 ათას დოლარად გაიყიდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ლოტი ყველაზე ძვირადღირებულია ოდესმე გაყიდულ ღვინოებს შორის.

ღვინო აუქციონის მონაწილე ანონიმმა მონაწილემ იყიდა, რომლის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისურის შტატიდანაა. სასმელი, რომელიც 2015 წლის კაბენე სავინიონის მოსავლიდანაა დამზადებული, მეღვინე ჯესი კაცის მიერაა წარმოებული.

აღსანიშნავია, რომ კაცი აშშ-ში ყველაზე ახალგაზრდა მეღვინეა, რომელიც ღვინის მწარმოებელ კომპანიას ხელმძღვანელობს. სხვათა შორის, ის იმითაცაა ცნობილი, რომ საგანგებოდ ამზადებს ღვინოს სხვადასხვა ცნობილი ადამიანისთვის, მაგალითად, მომღერალ ჯასტინ ტიმბერლეიკისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სექსი ისეთ ადგილებში მქონია, რომ არც კი დაგესიზმრება!

– შენ გეოგრაფიას გულისხმობ თუ ანატომიას?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღეს სახლი თავად დავალაგე.

– მერე?

– ახლა ნახოს ჩემმა ცოლმა, როგორია საკუთარი ნივთების ძებნა.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემს შვილს ძალიან ეამაყება, რომ მამამისი მეხანძრეა.

– მართლა?

– ჰო, ახლახან თავის საბავშვო ბაღს ცეცხლი იმისთვის წაუკიდა, რომ მის მეგობრებს ენახათ, თუ როგორ აქრობს ცეცხლს მამამისი.

●●●

სახლის კარზე აკაკუნებენ. კარი მამაკაცმა გააღო, იქ კი ახალგაზრდა, ულამაზესი გოგონა დგას და ეუბნება:

– გამარჯობა, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ, გართობა, დალევა და მთელი ღამე სექსი მინდა! გცალიათ?

– დიახ, რა თქმა უნდა!

– მაშინ ჩემს ძაღლს მიხედეთ!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რატომ არ გინდა, მეთამაშო?

– იმიტომ, რომ დრო არ მაქვს.

– რატომ არ გაქვს დრო?

– იმიტომ, რომ ვმუშაობ.

– რატომ მუშაობ?

– ფული რომ გამოვიმუშაო.

– ფული რატომ უნდა გამოიმუშაო?

– საჭმელი რომ გაჭამო.

– იცი რა, არ მშია და მეთამაშე.

●●●

ეზოში ქვიშაში მჯდომი პატარა ბავშვი ტირის. გამვლელი მიუახლოვდა და ეუბნება:

– ასეთი დიდი ხარ და ტირი.

– წადი შენი...

– ერთი ამას უყურე, ასეთი პატარაა და იგინება.

– შენი ვერაფერი გამიგია, ხან დიდი ხარო, ხან პატარაო...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 10 ნოემბრიდან




ანდრეს ინიესტა

# შემოქმედი

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ამ წიგნში საუბრობს ოჯახზე, ურთიერთობებსა და იმ გზაზე, რომელიც ლა მანჩაში ბეტონის სტადიონიდან „კამპ ნოუმდე“ გაიარა.

„მე მჯერა იმ ძველი გამოთქმის, რომლის მიხედვითაც, ადამიანს შვილი უნდა ჰყავდეს, ხე დარგოს და წიგნი დაწეროს. საბედნიეროდ, ქალ-ვაჟის მამა ვარ; ჩემს საფეხბურთო კარიერას ყოველთვის ექნება კავშირი ხესთან, იმ სათამაშო მოედანზე რომ იდგა, სადაც ბავშვობაში ბურთს ვაგორებდი; და დამრჩა წიგნი, თქვენ ხელთ რომ არის და რომელსაც „შემოქმედი“ ვუწოდე“, – ამბობს ანდრეს ინიესტა.

**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

# სამი მკვლელობა ძველ თბილისში

# პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




# უელსელები ქართულ შერკინებას ეშმაკობით გამოუძვრნენ

**უელსი-საქართველო 13:6**

**კარდიფი. პრინსიპალითი**

**უელსი:** ლ.ვილიამსი (ბიგარი 56) ქასბერთი, ს.ვილიამსი, ვოთქინი, ეიმოსი, პრისთლენდი, უები (ა.დევისი 57), ნ.სმითი (ვ.ჯოუნზი 56), დეისი (დი 68), ბრაუნი, (ფრენსისი 56), ბერდი, ჰილი (ფალეტაუ 75), ლიდიეთი, ქროსი, (ნავიდი 41), ს.დევისი

**საქართველო:** მათიაშვილი, კოშაძე (კვირიკაშვილი 75), კაჭარავა, შარიქაძე, მოდებაძე, ხმალაძე (ჯინჭველაშვილი 47), ლობჟანიძე (ბეგაძე 56), ნარიაშვილი (ასიეშვილი 67) ბრეგვაძე (მამუკაშვილი 67) ჩილაჩავა (ბეკოშვილი 63), მიქაუტაძე, ნემსაძე (ჩხაიძე 66) ლომიძე, კოლელიშვილი, (თხილაიშვილი 63), ბიწაძე



მსაჯის საფინალო სასტვენისას 55.000-მა გულშემატკივარმა შვებით ამოისუნთქა – უელსი გადარჩა. ბორჯღალოსნებმა სახელგანთქმულ „პრინსიფალითი სთედიუმზე“ (ყოფილი მილენიუმი) მასპინძელი უელსი ბოლო წუთებში დიდი წნეხის ქვეშ ამყოფეს, მაგრამ არ გაგვიმართლა და ტიერ ერთის კიდევ ერთი გუნდი „გადაგვირჩა“.

კარდიფში გამართული მატჩის დასკვნითი 15 წუთი ძლიერ წააგავდა 2007 წელს საქართველოსა და ირლანდიის შეხვედრას, მაგრამ ბოლო ზღუდის გადალახვა ვერც ამჯერად მოხერხდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. კუდიანი ვარსკვლავი; 7. სარბიელი; 8. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 10. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 11. შტატი აშშ-ში; 13. ბოსტნეული კულტურა; 16. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 19. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 20. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული.

**შვეულად:** 1. ნარკოტიკი; 2. წყნარი, უქარო ამინდი; 3. ქიმიური ელემენტი; 4. რაიმე ბგერის სწრაფი გამეორება მუსიკაში; 5. პროფკავშირის სახელწოდება საფრანგეთში; 9. სხეულის ნაწილი; 12. „კვირის ...“; 14. თანავარსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში; 15. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; 17. დროის ნახევარი ფეხბურთის მატჩში; 18. მტაცებელი ფრინველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

